www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 3 ივლისი, 2012 წელი. | №3054 (147) | ფასი 50 თეთრი

ახალი მთავრობის პრიორიტეტები მომავალი ოთხი წლისთვის

მაგდა ლეკიაშვილი

პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობასა და განახლებულ სამოქმედო გეგმას პარლამენტს დღეს წარუდგენს, თუმცა ახლად დანიშნულმა პრემიერმა მთავრობის მომავალი ოთხი წლის პრიორიტეტები საზოგადოებას უკვე გააცნო. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობის განვითარება და დასაქმება ის საკითხებია, რომლებზეც მთავრობა საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნდობის გამოცხადების შემდეგ იმუშავებს. უმუშევრობის მაჩვენებლის შესამცირებლად სპეციალურად იქმნება ახალი - დასაქმების სახელმწიფო უწყება. ამ თანამდებობაზე კანდიდატი უკვე შერჩეულია. მერაბიშვილმა გუშინ გლდანში მშენებარე კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ტერიტორიაზე მოსახლეობასთან შეხვედრისას დასაქმების მინისტრის პოსტზე პაატა ტრაპაიძე დაასახელა. ტრაპაიძე კომპანია "კავკასუს როუდ პროჯექტის" ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა. კომპანია საქართველოში 2005 წლიდან არსებობს. მისი ძირითადი საქმიანობის სფერო გზების, ხიდების, გვირაბების, აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობაა. კომპანია ხის კონსტრუქციებსა და პანელებსაც აწარმოებს.

პრემიერის თქმით, საქართველოში იზრდება ეკონომიკა, ვაჭრობა და ტურისტების რაოდენობა, მაგრამ ბევრმა ოჯახმა ამ განვითარების სიკეთე საკუთარ თავზე ვერ იგრძნო. ამიტომ, მერაბიშვილი მთარობის მთავარ ამოცანად სწორედ ამ სარგებელის თითოეულ მოქალაქემდე მიტანას მიიჩნევს. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მზად არის, უმუშევრობის წინააღმდეგ ზუსტად ისე იბრძოლოს, როგორც წლების წინ კორუფციასა და კრიმინალს ებრძოდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

რუსეთი ცენტრალურ აზიას ომებით აშინებს

ივა შილაკაძე

ვლადიმირ ჩირკინი

რუსეთს ცენტრალურ აზიაში საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური გავლენის შესაძლო შესუსტება იმდენად აშფოთებს, რომ მედიის საშუალებით შეფარულ მუქარაზეც გადავიდა. ამის პასუხად ტაჯიკეთმა უკმაყოფილება უკვე ღიად გამოხატა. ეს ყველაფერი, მიმომხილველების აზრით, განაპირობა ისევ უზბეკეთის გასვლამ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან და ტაჯიკეთთან მძიმედ მიმდინარე მოლაპარაკებებმა რუსული სამხედრო ბაზის ქვეყანაში დარჩენის შესახებ (ამ თემაზე სამი დღის წინ დაწვრილებით წერდა "24 საათი").

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

აფხაზები რუსების მოლოდინში

სალომე გოგოხია

მიუხედავად აფხაზეთის მარიონეტი ხელისუფლების განცხადებებისა, რომ რუსული ინვესტიციებით ომსგადარჩენილი სახლების, ქალაქების იერსახის აღდგენასა და შენარჩუნებას ცდილობს, ინტერენეტში გავრცელებული ფოტოები საპირისპიროზე მეტყველებს. დანგრეული ინფრასტრუქტურა, გადაბუგული სახლები, არასახარბიელო კრიმინოგენული სიტუაცია დღევანდელი აფხაზეთის რეალობაა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ანიმაციური "თოფუზი" 4 წლის ხდება

საკონკურსო ფილმების მიღების ვადა 31 ივლისს იწურება

ანა წულუკიძე

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სულ სამი კინოფესტივალია, აქედან ორი საქართველოში ტარდება - ზამთარში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, ხოლო ადრიან შემოდგომაზე ბათუმი საავტორო კინოს მასპინძლობს. როგორც კი ამ ზღვისპირა ქალაქში ხავერდოვანი სეზონი მიიწურება, კიდევ ერთი ფესტივალი, ამჯერად - ანიმაციური, აიღებს სტარტს. ასე გრძელდება უკვე მეოთხე წელია, ფესტივალს კი "თოფუზი" ჰქვია.

მართალია, ფესტივალის ჩატარებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, ორგანიზატორებმა უკვე გამოაცხადეს საკონკურსო ნამუშევრების მიღება, რომელთა ჩაბარების ვადა 31 ივლისს იწურება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6451₾
1 ევრო	2.0704₾
1 ინგლისური გირვანქა	2.5677₾
1 თურქული ლირა	0.9053₾
100 რუსული რუბლი	5.0130₾

თბილისი	26°C - 18°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	26°C - 14°C
ზუგდიდი	25°C - 16°C
ბათუმი	24°C - 16°C

ნავთობი	2.67	-0.04	-1.44%
გაზი	2.80	-0.03	-0.97%
ოქრო	1,597.50	-6.70	-0.42%
ხორბალი	765.25	+8.00	+1.05%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

TBC BANK
FM 102.4
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ჩემპიონის ანატომია

ესპანეთის ნაკრებმა ზედიზედ მეორედ მოიგო ევროპის ჩემპიონის ტიტული, შუალედში კი მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინიც დაიდგა. ახლა, როდესაც ემოციები ჩაცხრა, ევრო 2012-ზე "ფურია როხას" წარმატების მიზეზებზე ვისაუბროთ.

შემტევი პარადოქსი

საეჭვოა, რომ ფეხბურთის ისტორიაში მოიძიოთ გუნდი, რომელმაც დიდი ტურინირი ცენტრფორვარდის გარეშე მოიგო. ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება გუნდში ისეთი ადამიანის გარეშე, რომელიც პერსონალურადაა გოლზე პასუხისმგებელი, აქამდე შეუძლებლად ითვლებოდა. ვისენტე დელ ბოსკემ დაამტკიცა, რომ ეს შესაძლებელია.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

საქართველოს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ეწვევა

საქართველოს 4 ივლისს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი ეწვევა. როგორც გუშინდელ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომპეი საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს - შეხვდება საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. ვიზიტის ფარგლებში ევროპული საბჭოს პრეზიდენტი მოინახულებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასაც.

"განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ევროკავშირთან სისტემატურ ურთიერთობას, ამიტომ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ყველა ვიზიტი მნიშვნელოვანია," - განაცხადა ნინო კალანდაძემ.

შემთხვევითობები "ქართულ ოცნებაში"

"ქართული ოცნების" პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე "შემთხვევითობად" აფასებს იმ ფაქტს, რომ კოალიციის მიერ მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილის პარტიის წევრია.

"პროცენტული მონაცემები, თუ კოალიციაში შემავალი რომელი პარტიის წარმომადგენლები ჭარბობენ მაჟორიტარ კანდიდატთა სიაში, არ დამითვლია, მაგრამ ანალიზი უნდა გაკეთდეს მაშინ, როცა საერთო სურათი შეიქმნება. მაჟორიტარი კანდიდატების საკითხზე უმეტეს ოლქში გადაწყვეტილება მიღებულია, თუმცა მათი მხოლოდ მცირე ნაწილია ჯერ ოფიციალურად დასახელებული. ასე რომ, მხოლოდ შემთხვევითობა შეიძლება იყოს ის, რომ ჯერჯერობით ახალი პარტიის სახეები ჭარბობენ," - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ამასთან, მისი განმარტებით, "შემთხვევითობაა" ისიც, რომ დასახელებული მაჟორიტარი კანდიდატების უმრავლესობა მამაკაცია.

"ჩვენს პარტიასა და კოალიციაში შემავალ ძალებში ძალიან ბევრი ქალია. შეიძლება, შემთხვევით მოხდა ის, რომ მაჟორიტარ კანდიდატებად ჯერჯერობით მხოლოდ მამაკაცები არიან დასახელებულნი. დამერწმუნეთ, ჩვენს საარჩევნო სიაში, ისევე როგორც მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის, ქალები მრავლად იქნებიან წარმოდგენილები," - აღნიშნა ფანჯიკიძემ.

გარდა ამისა, პრესკონფერენციაზე ფანჯიკიძემ მცხეთაში გუშინწინ გამართული აქციაც შეაფასა და განაცხადა, რომ ეს "ქართული ოცნების" კიდევ ერთი გამარჯვება იყო.

კონტროლის პალატა სახელმწიფო აუდიტის სამსახური გახდა

საქართველოს კონტროლის პალატა სახელმწიფო აუდიტის სამსახურად გარდაიქმნა, ხოლო კონტროლის პალატის თავმჯდომარეს გენერალური აუდიტორი ეწოდა. შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები უკვე ძალაშია.

სამსახურში განმარტავენ, რომ სახელწოდების ცვლილება საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებს არ ითვალისწინებს.

"მიმდინარეობს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესი, რამაც არსებითად შეცვალა უწყების ბუნება და როლი საჯარო ფინანსების მართვაში. მაკონტროლებელი საქმიანობის ნაცვლად, უწყება ახორციელებს თანამედროვე, რისკზე დაფუძნებულ აუდიტს. ამდენად, უწყებაში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ინსტიტუციონალური რეფორმა და მსოფლიო პრაქტიკა აისახა უწყების სახელწოდებაზე," - აცხადებენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

შესაბამისად, შეიქმნა უწყების ახალი ვებგვერდი www.sao.ge და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებგვერდი www.saomonitoring.ge, რომელზეც შესვლა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ასევე მთავარი ვებ-გვერდიდან. აღნიშნული ვებგვერდები ფუნქციონირებას მიმდინარე კვირის ბოლომდე დაიწყებს.

ვანო მერაბიშვილი პარლამენტში შეხვედრებს იწყებს

დათო გამისონია

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ვანო მერაბიშვილი პარლამენტში ახალი სამთავრობო პროგრამის შესახებ საუბარს ფრაქციებთან შეხვედრაზე დაიწყებს. გია ცაგარეიშვილის ინფორმაციით, დღეს პირველი განხილვა ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" წევრებთან გაიმართება, რასაც მოჰყვება შეხვედრები "ქრისტიან-დემოკრატებთან" და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან".

ოპოზიციას ვანო მერაბიშვილის მიმართ კითხვები უკვე ჩამოყალიბებული აქვს. "თავისუფალი დემოკრატების" წევრი გია ცაგარეიშვილი საუბრობს მერაბიშვილის ინიციატივაზე, რომელიც 4 წლის ვადით 1000-ლარიანი ვაუჩერის გაცემას ეხება. **"გვაინტერესებს 1000-ლარიანი ვაუჩერის დარიგების საკითხი. რატომ 1000 და არა 2000 ან მეტი? საერთოდ, რა ლოგიკით მოქმედებს მთავრობა,** - აღნიშნავს ცაგარეიშვილი, - **ეს, სოციალური პოპულიზმის სტილში გაკეთებული საუკეთესო განცხადებაა. საქართველოში ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანები 3 თვის შემდეგაც ხელისუფლებაში დარჩებიან. მათ სურთ, რომ საბოლოოდ გაამათხოვრონ ქართული საზოგადოება, მისი ყოფნა-არყოფნა, ფიზიკური არსებობა მთავრობას ჩაუგდონ ხელში,"** - უთხრა "24 საათს" გია ცაგარეიშვილმა.

ვიცე-სპიკერი "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძე მერაბიშვილის დაპირებას არასერიოზულად მიიჩნევს: **"გავაუქმოთ სოციალური, ჯანდაცვის, განათლების პროგრამები და სხვადასხვა სუბსიდიები სოციალურად დაუცველებისთვის. სანაცვლოდ დავარიგოთ 1000-ლარიანი ვაუჩერები. თუ ამ ყველაფერს აუქმებენ, მაშინ არა 1000-ლარიანი, არამედ 10 000-ლარიანი ვაუჩერები დაარიგონ და მთელი ბიუჯეტი გადაანაწილონ,"** - აღნიშნავს ვეფხვაძე.

ფრაქციებთან შეხვედრამდე პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, ასევე მთავრობის განახლებული შემადგენლობის კანდიდატებს და მთავრობის პროგრამას დაარეგისტრირებენ. ფრაქციების შემდეგ საკითხს კომიტეტებზე 4 ივლისს განიხილავენ, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე კი საკადრო ცვლილებებისა და პროგრამის შესახებ 6 ივლისს იმსჯელებენ და კენჭს უყრიან.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ლევან ვეფხვაძემ მთავრობის პროგრამის გასაცნობად ვადა მოითხოვა. **"მერაბიშვილმა პროგრამაში რომ ჩაწეროს, სპილო დაფრინავსო, ამას საპარლამენტო უმრავლესობა დაუფიქრებლად დაუჭერს მხარს. ჩვენ კი მისი გაცნობისთვის დრო გვჭირდება,"** - აღნიშნა ბიუროს სხდომაზე ლევან ვეფხვაძემ. მას პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ უპასუხა: **"იმის გარკვევას, სპილო დაფრინავს თუ არა, დიდი დრო არ სჭირდება."** საუბარში ხათუნა გოგორიშვილი ჩაერთო და ლევან ვეფხვაძეს ხუმრობით მიმართა: **"თუ მერაბიშვილი ჩაწერს, სპილო შენთვისაც იფრენს."**

მთავრობის პროგრამის პარლამენტში 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილების პროექტის განხილვაც იწყება. პროექტი ბიურომ უკვე დაარეგისტრირა. საქმე ის არის, რომ დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩამოყალიბებისთვის ბიუჯეტში კორექტირება იგეგმება. როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი ამბობს, ბიუჯეტის მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილება არ იგეგმება. რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსებას, მელიქიშვილის თქმით, პროექტს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი ხვალ კომიტეტის სხდომაზე წარადგენს. მანამდე მელიქიშვილი არ აკონკრეტებს, რა თანხა გამოიყოფა ახალი აპარატის ფუნქციონირებისთვის.

მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატი საგარეო ვალის მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის ნაწილით დაფინანსდება.

ვიზიტორები და დანაშაული

შსს-ს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა საქართველოში უცხოელი ვიზიტორების მიმართ და მათ მიერ ჩადენილი დანაშულების თაობაზე ანალიზი გააკეთა. აღმოჩნდა,რომ საქართველოში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მატებისასთან ერთად, შემცირებულია როგორც უცხოელების წინააღმდეგ ჩადენილი, ასევე, უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულები.

შსს-ს მონაცემებით, 2006 წელთან შედარებით, 2011 წლისთვის საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. 2006 წელს საქართველოში შემოვიდა 763 ათას 231 უცხო ქვეყნის მოქალაქე, გასულ წელს კი, 2 820 185.

შსს-ს მონაცემებით, გასულ წელს საქართველოში დანაშაული ჩაიდინა 34 უცხო ქვეყნის 353-მა მოქალაქემ. უცხოელმა ვიზიტიორებმა ყველაზე მეტი დანაშაული ჩაიდინეს აჭარაში - 97, თბილისში - 78, სამცხე-ჯავახეთში - 77 და ქვემო ქართლში - 57.

შსს-ს ანალიზით, დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ათეული ასე განაწილდა. ყველაზე მეტი - 92 დანაშაული ჩაიდინეს თურქეთის მოქალაქეებმა, სომხეთის მოქალაქეებმა - 76, რუსეთის - 31, ბანგლადეშის - 31, ირანის - 30, აზერბაიჯანის - 27, ინდოეთის - 10, უზბეკეთის - 9, ისრაელის - 8, უკრაინის - 5.

უცხოელების მიერ საქართველოში ჩადენილი 5 ყველაზე გავრცელებული დანაშაულია: თაღლითობა - 12 ფაქტი, ქურდობა - 15, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა - 30, დოკუმენტების გაყალბება - 37, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა - 61.

შსს-ს მონაცემებით, გასულ წელს უცხოელების მიერ საქართველოში ჩადენილი მძიმე დანაშაულების რამდენიმე შემთხვევა აღირიცხა: იმერეთის რეგიონში სომხეთის მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქის მკვლელობა; სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში თურქეთისა და სომხეთის მოქალაქეების მიერ ჩადენილი კონტრაბანდის 3 ფაქტი; თბილისში, აჭარაში, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში აზერბაიჯანის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, თურქეთისა და სომხეთის მოქალაქეების მიერ ჩადენილი ნაკრადანაშაულის 8 ფაქტი.

საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების დანაშაულის ობიექტები სხვა უცხოელი ვიზიტიორებიც გახდნენ. გასულ წელს თურქეთის მოქალაქეებმა თანამემამულეების მიმართ 6 დანაშაული ჩაიდინეს, უზბეკებმა - 4, თითო-თითო სომხეთის, ბანგლადეშის და ირანის მოქალაქეებმა. ერთი დანაშაული ინდოეთის მოქალაქემ ბანგლადეშის მოქალაქის მიმართ ჩაიდინა, ხოლო თურქეთის მოქალაქემ - უზბეკის მიმართ.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ საქართველოში ჩადენილ დანაშაულებს: 2011 წელს აღირიცხა 309 დანაშაული 529 უცხოელი ვიზიტიორის მიმართ.

შსს-ს მიერ შედგენილი მონაცემებით, დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ათეული ასე გამოიყურება:

ყველაზე მეტ შემთხვევაში დანაშაულის ობიექტი გახდნენ თურქეთის მოქალაქეები - 112, შემდეგ მოდიან ინდოეთის მოქალაქეები - 58, ირანის - 44, სომხეთის - 37, ჩინეთის - 27, რუსეთის - 25, უკრაინაის - 23, აზერბაიჯანის - 23, აშშ-ს - 17, უზბეკეთის - 17.

ყველაზე მეტი დანაშაული უცხოელი ტურისტების მიმართ მოხდა თბილისში - 265 ფაქტი და ჭარაში - 180 ფაქტი. ყველაზე ნაკლები კი გურიაში - 1 ფაქტი.

უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე გავრცელებულია ხუთი კატეგორიის დანაშაული: ხულიგნობა - 19 ფაქტი, ძარცვა - 23, ჯანმრთელობის დაზიანება (ცემა) - 48, თაღლითობა - 37, ქურდობა - 267.

შსს-ს მონაცემებით, გასულ წელს უცხოელების მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულების რამდენიმე შემთხვევა აღირიცხა: საფრანგეთის მოქალაქის მკვლელობა თბილისში; თურქეთის და ყირგიზეთის მოქალაქეების დაყაჩაღების 5 ფაქტი ბათუმსა და ქვემო ქართლის რეგიონში; უკრაინის, შვეიცარიის და აშშ-ს მოქალაქეების გაუპატიურების 3 ფაქტი თბილისსა და ბათუმში; უზბეკეთი მოქალაქის ტრეფიკინგი.

უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულები მატულობს საკურორტო სეზონზე - ივლისი-აგვისტო-სექტემბრის თვეებში და ამ დროს ყველაზე მეტი დანაშაული აღირიცხა აჭარაში.

პედაგოგთა სასერტიფიკატო გამოცდები დაიწყო

მარი ახსიაშვილი

გუშინ, 2 ივლისს, საგამოცდო პროცესში პედაგოგები ჩაერთნენ. მათ პირველი სასერტიფიკატო გამოცდა პროფესიულ უნარებში ჩაბარეს. გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ხატია დეკანოიძემ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა დარეგისტრირებულ მასწავლებელთა შორის ყველაზე ხანდაზმული პედაგოგი, მცხეთის რაიონის სოფელ პატარა ქანდას საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ლილი კუხალეიშვილი ტექნიკურ უნივერსიტეტში რეგისტრაციის გასავლელად მიაცილეს, წარმატებები უსურვეს და რეგისტრაციის პროცესს დაესწრნენ.

გუშინ გამოცდაზე 7 894 პედაგოგი გავიდა. ჯამში პროფესიულ უნარებს წელს 31 880 ადამიანი აბარებს. პროფესიულ უნარებში გამოცდები მთელი საქართველოს მასშტაბით 2, 3, 4 და 5 ივლისს ჩატარდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად მოიმატა სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის მსურველთა რაოდენობამ. 2011 წელს რეგისტრაცია 24 ათასამდე პედაგოგმა გაიარა, ხოლო 2012 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა.

"პედაგოგთა მოტივაციის ზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის ერთ-ერთია ხელფასების მატება. სერტიფიცირებული მასწავლებლების სახელფასო სქემა ასეთია: სერტიფიცირების დანამატი - 75 ლარი; ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში - 200 ლარი; ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდის შედეგებით საუკეთესო 25 პროცენტში მოხვედრილ პედაგოგებს ხელფასი 1000 ლარი აქვთ; საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორატორიული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში კი პედაგოგის ხელფასი კიდევ 75 ლარით იზრდება," - განმარტავენ სამინისტროში.

მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების წლევანდელი განრიგი კი ასეთია:

2, 3, 4 და 5 ივლისი (პირველი სესია) - უნარები;

6 ივლისი (პირველი სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII);

11 ივლისი (პირველი სესია) - გეოგრაფია, ბიოლოგია, ისტორია, ქიმია, მათემატიკა (VII-XII);

12 ივლისი (პირველი სესია) - დაწყებითი (I-IV) კლასების პედაგოგებისთვის;

13 ივლისი (პირველი სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI), მათემატიკა (I-VI), ბუნებისმეტყველება (I-VI);

18 და 19 ივლისი (პირველი სესია) - უცხოური ენები (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა და გერმანული ენა);

19 ივლისი (პირველი სესია) - სამოქალაქო განათლება, ფიზიკა.

გუშინდელი გამოცდის პარალელურად, სტუდენტურმა გაერთიანებამ "სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფმა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან საპროტესტო აქცია გამართა. მონაწილეების განცხადებით, მათთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელია ის ფაქტი, რომ პედაგოგებს, რომლებსაც მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, პროფესიონალიზმის დამტკიცება ხელახლა უწევთ.

"მათ თავის დროზე აღებული აქვთ სახელმწიფო დიპლომები, აქვთ სტაჟი, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ეს არაფერს ნიშნავს. ფაქტია, რომ იმ დიპლომებს არავინ აღიარებს," - განაცხადა "სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის" ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსანდრე კობაიძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ახალი მთავრობის პრიორიტეტები მომავალი ოთხი წლისთვის

პირველი გვერდიდან

როგორც ვანო მერაბიშვილი ამბობს, მთავრობას არა აქვს სრული ინფორმაცია საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებლის შესახებ, ასევე არ არის დადგენილი, თუ რა ტიპის და რა პროფესიის ადამიანები ვერ პოულობენ ქვეყანაში სამსახურს.

"უფრო მეტიც, ზუსტად არ ვიცით, რა ტიპის პროფესიებსა და უნარებზეა მოთხოვნა საქართველოში. სწოროდ ამიტომ, ყველაზე დიდი გამოწვევაა უმუშევრობა და ამ სენს ჩვენ უნდა შევებრძოლოთ. ამ პრობლემის მოგვარებისთვის შევქმნით სპეციალურ უწყებას - დასაქმების სამინისტროს, რომლის მთავარი ამოცანა დასაქმების პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების ძიება იქნება. ჩვენი ბიუჯეტის დაგეგმვისას ფინანსების გაწერის მთავარი კრიტერიუმი ის იქნება, თუ რამდენად დაეხმარება ეს მოქალაქეთა დასაქმებას," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. როგორც პრემიერი დასძენს, შეიქმნება ერთიანი ბაზა, სადაც დასაქმების შესახებ ყველანაირი ინფორმაცია მოიყრის თავს. მთავრობა სამსახურის მაძიებლისა და უმუშევრის სტატუსის შემოღებასაც გეგმავს.

დასაქმების მიმართულებით რამდენიმე პროექტი უკვე დაგეგმილია. უახლოეს 4 წელიწადში დამატებით 5 ათას კმ-ის გზა აშენდება, რაც, პრემიერის თქმით, 40 ათასი ახალი სამუშაო ადგილია. გარდა ამისა, საქართველოში 4 წლის მანძილზე 4 მილიარდი დოლარის უცხოურ ინვესტიციას ელოდებიან, რომელიც 50 ათას მოქალაქეს დაასაქმებს. დასრულდება 24 ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაც და ამ დარგში 13 ათასი ადამიანი დაიწყებს მუშაობას.

მინისტრთა ახალი კაბინეტის მეორე პრიორიტეტი ჯანდაცვის სფეროა. მერაბიშვილის განცხადებით, პრეზიდენტის დაპირება, რომ 2013 წელს პენსია 100 დოლარი იქნება, ძალაში რჩება. გარდა ამისა, ამ კატეგორიისთვის საბაზისო სადაზღვეო პაკეტი ორ თვეში 140 ლარამდე იზრდება. პერმიერის ინიციატივით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 მილიარდი ლარი გამოიყოფა, ეს თანხა 4 წელინადზე გაიწერება და ძირითადად ყველა მოქალაქის დაზღვევაზე დაიხარჯება.

ასევე **"პრიორიტეტი იქნება სოფლის მხარდაჭრა და ამ მიზნით საქართველოს სოფელსა და მის განვითარებაში 4 მილიარდი ლარის ჩადებას ვაპირებთ,** - ამბობს ვანო მერაბიშვილი, - **ვდებ პირობას, რომ საქართველოს სოფელი საქართველოს გაძლიერების საფუძველი გახდება. ყველა სოფელში იქნება წყალი, დასრულდება გაზიფიკაციის პროექტი, შევა შესაბამისი ხარისხის გზა და იქნება ინტერნეტი. ვაპირებთ, დამატებით 2000 ტრაქტორი და სხვა ტექნიკა შევიძინოთ იმისთვის, რომ სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე თითეულ გლეხს მიუწვდებოდეს ხელი. ვაპირებთ, მინიმუმ, 500 სასოფლო-სამეურნეო საწარმოს აშენებას მომდევნო 4 წლის განმავლობაში. საქართველოში 90 ათასი ჰექტარი მიწა დამატებით მოირწყვება. 35 ათასი ჰექტარ მიწას გამოვტაცებთ ჭაობს და ხელსაყრელს გავხდით სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის."** პრემიერის თქმით, მომავალი წლიდან საქართველოში თითოეულ ოჯახს გადაეცემა ოთხ წელზე გაწერილი ათასლარიანი ვაუჩერი. პრემიერი დასძენს, რომ მთავრობა აძლევს ოჯახებს შესაძლებლობას, თავად მიიღონ გადაწყვეტილება და ეს თანხა იმ პრობლემის მოსაგვარებლად გამოიყენონ, რომელიც მათ აწუხებთ.

"ჩვენ გვაქვს წინადადება, რომ ათასლარიანი ვაუჩერით საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ დენის, გაზის, წყლის ან სხვა კომუნალური გადასახადების გადახდა, მედიკამენტების შეძენა, ბავშვებისთვის სკოლის სახელმძღვანელოების შეძენა. გლეხებმა შეძლონ სასუქების, საწვავის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, რათა ადამიანს ნებისმიერ დროს ჰქონდეს იმის გარანტია, რომ თუ მას გარკვეულ მომენტში დაუდგა პრობლემა, რომელიც არ არის ასახული ჩვენი მთავრობის საერთო გეგმაში, ამ პრობლემას თავად მოაგვარებს," - განაცხადა მერაბიშვილმა.

აფხაზები რუსების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

სოჭთან შედარებით, აფხაზეთში დასვენება გაცილებით იაფია. ამიტომ რუსი ტურისტები ამ უკანასკნელს ირჩევენ, თუმცა ის, ვინც ერთხელ მაინც სტუმრობდა აფხაზეთს, იქ მეორედ აღარ მიდის და სხვებსაც იგივეს ურჩევს. რუსულ ფორუმებზე მომხმარებლები აფხაზეთში არსებულ კრიმინოგენულ სიტუაციებზე, მომსახურების დაბალ დონესა და გაუმართავ ინფრასტრუქტურაზე ჩივიან.

როგორც ჩანს, ამის საპირწონედ რუსეთი აფხაზეთში საზღვაო-საკურორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას გეგმავს. ამ მოტივით, "ვნეშეკონომბანკი" (ვებ), რომელიც სოჭი-2014 ოლიმპიადის მშენებლობას აფინანსებს (საერთო ღირებულება 1,5 ტრილიონ რუბლს შეადგენს), აცხადებს, რომ მზადაა აფხაზეთის საკურორტო ზონის განვითარების პროექტი დააფინანსოს. რუსული ბანკი თანახმაა, რომ ახლად დაარსებულ შპს "გაგრა პარკ მარინას" მშენებლობისთვის კრედიტი გამოუყოს. პროექტის მესვეურები აფხაზეთში, შავის ზღვის სანაპიროზე გიგანტური რეკრეაციული კომპლექსის მშენებლობას გეგმავენ, რომლის ღირებულება 400 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

მანამდე კი, რუსული ტურისტული კომპანიები დამსვენებლების მიზიდვას სხვადსხვა ხერხით ცდილობენ.

"24 საათი" ერთ-ერთ რუსულ საიტზე მითითებული კერძო სახლის მფლობელ ანჟელას დაუკავშირდა, რომლის სახლი გაგრაში, დემერ-ჯიპას ქუჩის N125-ში მდებარეობს. რესპოდენტის თქმით, საზღვაო სეზონი მაისიდან გახსნილად ითვლება და საწყისი ფასი დღეში კაცზე 200 რუბლია. აგვისტოში კი ფასი იზრდება და თითო კაცზე 350 რუბლს შეადგენს (კონდინციონერის, მაცივრისა და ტელევიზორის ჩათვლით).

"რაც შეეხება ტურისტების უსაფრთხოებას, კრიმინოგენული სიტუაცია შედარებით გამოსწორდა. სტატისტიკა არ ვიცით, მაგრამ კრიმინალური ფაქტები საგრძნობლად შემცირდა. მილიცია კარგად მუშაობს. დაგვიჯერეთ, ყველაფერი რიგზეა. ყოველწლიურად ტურისტების რაოდენობა იზრდება. მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ მომსახურების სერვისიც უმჯობესდება. სამწუხაროა, რომ ისინი, ვისაც აქ ჩამოსვლის სურვილი აქვთ, ამას ვერ ახერხებენ," - გვიპასუხა აფხაზმა რესპოდენტემა.

აფხაზეთიდან დევნილი 27 წლის ინგას აფხაზი ნათესავები სოხუმში ცხოვრობენ. ამბობს, რომ სურვილის მიუხედავად, ნათესავი სახლის გაქირავებას ვერ ახერხებს, მიზეზი ერთია - სახლი სანაპიროდან მოშორებით დგას.

დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლების მტკიცების მიუხედავად, რომ აფხაზეთი ტურისტებისთვის მიმზიდველი და, ამასთან, უსაფრთხო ადგილია, ფორუმებზე რუსები საპირისპიროს წერენ.

რუსულ საიტზე "ტონკოსტი.რუ" დამსვენებლების მონათხრობის მიხედვით, აფხაზეთი ტურისტებისთვის უსაფრთხო ადგილი სულაც არ არის.

"ღამით თავს გვესხმიან და რისი გულისთვის? ნოუთბუქის გამო. კარებს გვიმტვრევენ. ამ დროს პოლიცია არაფერს აკეთებს. საშინელი სიტუაციის შესახებ პუტინს უნდა ვაცნობოთ. დამსვენებლებს მხოლოდ იმიტომ გვიტანენ, რომ სხვა გზა არ აქვთ. სამწუხაროა, რომ ასეთ ულამაზეს მხარეში, რომელსაც რუსეთი ასე ეხმარება, დამსვენებლებს საზიზღრად ექცევიან." - წერს ბლოგერი, რომელიც აფხაზეთში უკვე იმყოფებოდა (წერილი 2012 წლის 29 ივნისით თარიღდება).

აფხაზეთში არსებული გაუმართავი ინფრასტრუქტურისა და კრიმინოგენული სიტუაციის შესახებ საუბრობენ ექსპერტებიც.

ექსპერტთა კლუბის წევრის, გოჩა გვარამიას თქმით, ომის შემდგომ სანატორიუმები გაგრასა და ბიჭვინთაშია შენარჩუნებული.

"ჯერ კიდევ ბაგაფშის დროს, დე ფაქტო ხელისუფლებამ საკურორტო სეზონის დასრულების შემდეგ თქვა, რომ აფხაზეთს მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობდაო. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ აღიარეს, რომ აფხაზეთს 200 000-მდე ტურისტი სტუმრობდა. დე ფაქტო ხელისუფლება რიცხვებს შეგნებულად ბერავს. რუსი ტურისტები, აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ, ბლოგებში წერენ, როგორ დაისვენეს, როგორია მომსახურების დონე, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება. აფხაზეთში ერთხელ ნამყოფი, მეორედ იქ აღარ მიდის და სხვასაც იგივეს ურჩევს. ამბობენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ტურისტების მიმართ კეთილგანწყობილი სულაც არ არის, ტურისტს მეორეხარისხოვნად თვლიან, ხშირია ძარცვის და ქურდობის ფაქტები. სხვა საკითხია, როცა ერთსა და იმავე ოჯახში ისვენებენ. მათ მიმართ სხვა დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ საკმარისია სახლს გასცდნენ, რესტორანში შევიდნენ და დამოკიდებულება მომენტალურად იცვლება. ფასი და მომსახურება ერთმანეთს არ შეესაბამება. აფხაზეთში დასასვენლად ჩასული ტურისტი, უსაფრთხოების თვალსაზრისით, დაცული არ არის. განსაკუთრებით ქალების ის კატეგორია, რომლებიც მამაკაცის გარეშე ჩადიან. გაუპატიურების შემთხვევებიც ყოფილა,"- ამბობს გვარამია.

ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში გია ლომია: **"ის რასაც რუსული ტურისტული სააგენტოები წერენ, სიმართლეს არ შეესაბამება. მომსახურების ძალიან დაბალი დონეა. ხშირია ქურდობისა და ყაჩაღობების ფაქტები. რუსულ სამხედრო პანსიონატებში შედარებით უკეთესი სიტუაციაა და იქ მცხოვრებნი დაცულები არიან. რუსებმა და თურქებმა საკმაოდ ბევრი სანატორიუმი გაარემონტეს, რომელიც ომს გადაურჩა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ეს მასისთვის არ არის. რუსები იმ შენობებს არემონტებენ და აახლებენ, რომლის პრივატიზებაც მოახერხეს."**

"ლეიბორისტული პარტიის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილდა შალვა ნათელაშვილისა და საქართველოს "ლეიბორისტული პარტიის" სარჩელი, რომლითაც ის საქართველოს მთავრობის დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას ითხოვდა.

მოსარჩელე საქართველოს მთავრობის იმ დადგენილებას ასაჩივრებდა, რომლითაც "112"-ის მომსახურების საფასური სატელეფონო კომპანიების აბონენტებმა უნდა გადაიხადონ. იმავე დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცდა, რომ ყოველ კალენდარულ თვეში ფიზიკურმა პირებმა უნდა გადაიხადონ - 20 თეთრი, ხოლო იურიდიულმა პირებმა - 50 თეთრი. იგივე ტარიფი დაწესდა მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტებისთვის სააბონენტო ნომერზე.

მოსარჩელის განცხადებით, თითოეულ აბონენტს საკუთრებაში აქვს მრავალი სატელეკომუნიკაციო საშუალება და ისინი იძულებული არიან "112"-ის საფასური გადაიხადონ იმდენჯერ, რამდენი სატელეკომუნიკაციო საშუალებაც გააჩნიათ, ვინაიდან, თითოეულ ნომერზე ცალკე ხდება აღნიშნული თანხის დარიცხვა.

მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას და განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელია და მისი დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა სარჩელის საფუძვლიანობა, შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ დადასტურდა გასაჩივრებული დადგენილების კანონთან შეუსაბამობა.

პასუხი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე არ იზიარებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, თითქოს 27 ივნისს გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში შეხვედრა, რომელიც ექსპერტების დონეზე უნდა გამართულიყო, ქართული მხარის მიზეზით ჩაიშალა. ამის შესახებ კალანდაძემ გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

კალანდაძის თქმით, ეს შეხვედრა ბოლომდე დაგეგმილი არ იყო. მხოლოდ საუბრის დონეზე განიხილებოდა, რომ უნდა შემდგარიყო.

"ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრების ჩაშლას რუსეთის ხელისუფლებამ მიზანმიმართულად შეუწყო ხელი და ეს აფხაზეთში მათი წარმომადგენლების მხრიდან გაკეთდა. ამ მექანიზმების შენარჩუნება გვსურს, თუმცა წინააღმდეგობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან წამოვიდა და იმედი გვაქვს, შევძლებთ, განვაახლოთ," - განაცხადა ნინო კალანდაძემ.

დევნილებმა საპროტესტო აქცია გამართეს

აფხაზეთიდან დევნილებმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს და საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება ითხოვეს.

როგორც "ინტერპრესნიუსი" დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენელ მზია კორსანტიას განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, თავად და სხვა რამდენიმე ოჯახი ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სადაც გასულ წელს მივიდნენ ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლები და, უკეთესი საცხოვრებელი ფართის შეთავაზების მოტივით, ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს. კორსანტიას განცხადებით, ენდნენ ლტოლვილთა სამინისტროს, დატოვეს ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორია და ნაქირავებში გადავიდნენ, თუმცა მას შემდეგ ლტოლვილთა სამინისტროს მათთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

აქციის მონაწილე დევნილების თქმით, ლტოლვილთა სამინისტროს არანაირი ყურადღება არ გამოუჩენია მათ მიმართ და კობა სუბელიანმა დააკმაყოფილა მხოლოდ ის დევნილები, რომლებიც "ნაციონალური მოძრაობის" მომხრეები არიან.

"ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რა პირობები შეუქმნეს იმ დევნილებს, რომლებიც "ნაციონალური მოძრაობის" მომხრეები არიან. ისინი, ძირითადად, ზღვისპირეთში ჩაასახლეს, ხოლო ჩვენ ფოცხოეწერსა და ისეთ ადგილებში გვპირდებიან საცხოვრებელ სახლებს, სადაც არანაირი პირობა არ არსებობს და შიმშილით სიკვდილი გველოდება," - განაცხადა ერთ-ერთმა დევნილმა.

"მაესტრომ" 2-მილიონიანი ზარალი ნახა

ტელეკომპანია "მაესტროს" ყოფილი ოფისის მესაკუთრე ცისანა მაღალაშვილი და "მაესტროს" გენერალური დირექტორი ბაჩო კიკაბიძე გუშინ შენობაში შევიდნენ.

სახლის მესაკუთრეებმა რამდენიმე ოთახის კარი გააღეს, მეორე და მესამე სართულზე არსებული ოთახების გასახსნელად კი ხელოსნის დახმარება დასჭირდათ.

"მაესტროს" გენერალური დირექტორის თქმით, შენობიდან 2 მილიონ დოლარამდე ღირებულების ტექნიკაა წაღებული. ადვოკატები აცხადებენ, რომ ეროსი კიწმარიშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანენ.

News.ge-ის ინფორმაციით, ადვოკატები პოლიციას 11:00 საათიდან იძახებდნენ, თუმცა პატრული ტელეკომპანია "მაესტროს" შენობაში მას შემდეგ მივიდა, რაც "მაესტროს" გენერალურმა დირექტორმა დარეკა. გამოძიებას კრიმინალური პოლიცია აწარმოებს.

ახალი მანქანებით სამარშრუტო ხაზების დაკომპლექტება დასრულდა

თბილისში სამარშრუტო ტაქსების შემოყვანისა და ახალი მანქანებით ხაზების დაკომპლექტების პროცესი დასრულდა. თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ კომპანია "თბილისის მიკროავტობუსის" ავტოსადგომი დაათვალიერა, სამარშრუტო ტაქსების გამართულობა შეამოწმა და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს გაესაუბრა.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, თბილისის ყველა უბანში მოსახლეობას ახალი, ყვითელი სამარშრუტო ტაქსები მოემსახურება. სულ ხაზზე 2 464 სამარშრუტო ტაქსი ივლის. როგორც მერიაში აცხადებენ, კომპანიამ აღებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მანქანების ჩამოყვანის პარალელურად, სამუშაო ადგილები შეუნარჩუნდა ყველა იმ მძღოლს, რომელიც ადრე ძველ მანქანებზე მუშაობდა. აღნიშნულ სფეროში ამჟამად 4 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

"ახალი მიკროავტობუსები სამუშაო დროის დასრულების შემდეგ კომპანია "თბილისის მიკროავტობუსის" კუთვნილ ავტოსადგომზე ჩერდება. ყოველდღიურად თითოეული მანქანა ავტოსადგომის სამრეცხაოში ირეცხება, ტექნიკურ დათვალიერებას გადის და მხოლოდ ამის შემდეგ ემსახურება მოსახლეობას," - აცხადებენ მერიაში.

ამასთან, 1-ელი ივლისიდან სამარშრუტო ტაქსებში სავალდებულო გახდა კონდიცირების სისტემის ჩართვა, რასაც კომპანია მკაცრად აკონტროლებს.

დავით ჯალაღანია ჰანს იორგ ჰაბერს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის კრიზისული სიტუაციების მართვის სამოქალაქო ოპერაციების ხელმძღვანელ ჰანს იორგ ჰაბერს შეხვდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო, ზოგადად, ევროკავშირის მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში.

ᲐᲜᲘᲛᲐᲪᲘᲣᲠᲘ "ᲗᲝᲤᲣᲖᲘ" 4 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ფესტივალი საერთაშორისოა, ამრიგად, მასში მონაწილეობას სხვა, ანიმაციური კინოს გაცილებით ძლიერი და განვითარებადი ტრადიციების მქონე, ქვეყნებიც მიიღებენ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს ანიმატორებს დიდი გარჯა მართებთ, რომ უცხოელ კოლეგებს ღირსეული კონკურენცია გაუწიონ. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი "საკუთარ მოედანზე" თამაშობენ, რაც ალბათ ერთ დამატებით ქულასაც ნიშნავს.

31 ივლისამდე ფესტივალის პროგრამაში შესულ ყველა ფილმს შესაბამის ნომინაციაში გადაანაწილებენ. ნომინაციების ჩამონათვალი კი ამგვარია: საუკეთესო ფილმი უფროსებისთვის, საბავშვო ფილმი, დებიუტი, ექსპერიმენტული ფილმი, სერიალი, ინტერნეტფილმი, საუკეთესო რეჟისორი, სცენარისტი, კომპოზიტორი, საუკეთესო ტექნოლოგია, ქართული ფილმი და ბავშვების მიერ შექმნილი საუკეთესო ფილმი. ცხადია, ფესტივალს გრანპრიც აქვს - "თოფუზის" მონაწილეთა მთავარი სამიზნე სწორედ ეს პრიზი იქნება.

შარშანდელი გამარჯვებული ფილმი "ამარ"

"თოფუზი" არ გახლავთ მხოლოდ ფილმების ჩვენება და გამარჯვებულთა დაჯილდოება. მისი უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლას, ახალი იდეების ძებნასა და, რაც მთავარია, ქართული ანიმაციის ინტეგრაციას მსოფლიო კინოს სამყაროში. კონკურსის გარდა, ფესტივალის ფორმატი ფილმების ჩვენებასა და მათ შემდგომ განხილვასაც ითვალისწინებს, რაც ფესტივალის სამუშაო პროცესს უფრო ცოცხალს ხდის. ასევე მთავარი სეგმენტი გახლავთ ქართველი და უცხოელი ანიმატორების შეხვედრა და მომავალი თანამშრომლობის, კოპროდუქციების შექმნის დაგეგმვა, რაც ჩვენს ანიმაციას ძალიან სჭირდება.

ფესტივალი წელს მეოთხედ ტარდება და ის ბალტიისპირეთის ქვეყნებში პოპულარული და მსოფლიოში ცნობილი, ანიმაციური ფილმების ფესტივალ "ბიმინის" ერთგვარი გაგრძელება გახლავთ. 2008 წელს ქართულმა მხარემ ბალტიისპირელ კოლეგებთან მოლაპარაკების საფუძველზე "ბიმინი" ბათუმში ჩაატარა. იმთავითვე ფესტივალის პარტნიორები იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი, ბათუმის მერია, განათლების სამინისტრო, აჭარის კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები. პირველივე ფესტივალს 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი ესტუმრა, რომლებმაც ხუთასამდე ფილმი წარმოადგინეს. 2009 წლიდან "თოფუზის" ერა დაიწყო: "ბიმინი" ლიტვაში დაბრუნდა, საქართველოში ანიმაციის განვითარების ფონდის საინიციატივო ჯგუფმა კი საკუთარი ფესტივალი დააარსა.

შარშან გრანპრი ესპანურმა ფილმმა "ამარ" აიღო, უფროსებისთვის განკუთვნილ საუკეთესო ფილმად ფრანგული "სადაც ძაღლები იღუპებიან" დაასახელეს, ხოლო პატარების რჩეული არგენტინელი ხუან პაბლო ზარამელას "ოპერაში" აღმოჩნდა. საუკეთესო დებიუტანტის სტატუსი მოიპოვა ფინელმა ჟარი ვაარმა ფილმისთვის "დაბადების დღე", ხოლო "პლანეტა ზეტის" ავტორი, ფრანგი მომოკო სეტო საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმის ავტორად აღიარეს. ჯილდო ერგო ქართულ ნამუშევარსაც - საუკეთესო ინტერნეტფილმის წოდება დავით კოპალეიშვილის "ნათებას" მიანიჭეს. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის მონაწილე ფილმებს, პროფესიონალთა გარდა, ბავშვებისგან შემდგარი ჟიურიც აფასებს, რაც უკვე "თოფუზის" ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება ფესტივალის სახელწოდებას, მისი ისტორია დაახლოებით საუკუნეს ითვლის. თოფუზი მეოცე საუკუნის დასაწყისში აჭარაში მცხოვრები მოცეკვავეს მეტსახელი ყოფილა, რომელმაც ხალხს თავი იმით დაამახსოვრა, რომ სიმსუქნისა და მოჩვენებითი მოუქნელობის მიუხედავად, მუსიკის გაგონებისთანავე ფეხის წვერებზე დგებოდა და პატარა ბიჭივით აცეკვდებოდა ხოლმე. ფესტივალის სიმბოლოც სწორედ მოცეკვავე თოფუზი გახლავთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ თავად ფესტივალი ბათუმში 3 ოქტომბერს გაიხსნება, ხოლო 6 ოქტომბერს გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალით დაიხურება.

ᲰᲔᲠᲡᲢᲘᲡ ᲝᲠᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲥᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

დემიენ ჰერსტმა ბრიტანეთის ერთ-ერთი ქალაქის - ილფრაკუმუს მუნიციპალიტეტს მიმართა შეთავაზებით, დაიდგას მის მიერ შექმნილი 20-მეტრიანი ქანდაკება - ფეხმძიმე ქალი ხმლით ხელში. მხატვრის მორიგი აქტიურობის შესახებ "ბიბისი" იუწყება.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მხატვარი აღნიშნულ ნამუშევარს "ჭეშმარიტებას" არქმევს და ქალაქს უფასოდ 20 წლით გადასცემს. ინდლისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაცია "ინდლისის მემკვიდრეობა" უკვე აღნიშნავს, რომ ჰერსტის ქმნილების გამო ინგლისის ქალაქი ინფრაკუმუ აუცილებლად მიიზიდავს საზოგადოებასა და ტურისტებს.

ორსული ქალი მარცხენა ხელში ხანჯლით, მარჯვენაში კი სასწორით, რომელზეც წიგნებია დალაგებული, "სიმართლისა და მართლმსაჯულების" თანამედროვე ანალოგიად შეიძლება აღვიქვათ.

თუკი კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციის საბჭო თანხმობას განაცხადებს, ჰერსტის სკულპტურა დამონტაჟდება. მხატვარს შემთხვევით არ შეურჩევია აღნიშნული ქალაქი. საქმე ის არის, რომ აქ მას აქვს რესტორანი; ამას გარდა, როგორც "ბიბისი ნიუსი" იუწყება, ამ ზღვისპირა ქალაქს აქვს სურვილი, ბევრად მეტს წარმოადგენდეს, ვიდრე ძველი ვიქტორიანული კულტურის კურორტია. 2010 წელს ქალაქის ხელმძღვანელობას იმიჯის ცვლილებისთვის სერიოზული კამპანია წამოუწყია. ამ პროცესში ყველაზე დიდ აქცენტებს თანამედროვე ხელოვნების პროექტებზე აკეთებენ.

ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მათი სამიზნე, არც მეტი, არც ნაკლები, დემიენ ჰერსტი გახდა. ჰერსტისთვის კი ქალაქი, სადაც ბევრი ბული იყრის თავს. ის ხომ ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მხატვარია ჩვენს თანამედროვეობაში. ამჟამად "ტეტიტ გალერეაში" მისი რეტროსპექტიული გამოფენა მიმდინარეობს. ამ გამოფენაზე ჰერსტის ყველაზე ცნობილი და რესპონანტული ნამუშევრებია თავმოყრილი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ

კიდევ ერთი ბრიტანელი ხელოვანის, სკულპტორ ენტონი გორმლის პროექტს არცთუ დიდი წარმატება ხვდა წილად. თუმცა ეს უკვე ავსტრიის მიწაზე მოხდა. საქმე ის არის, რომ ავსტრიის ფორალბერგის მთებში ორი წლის წინ დამონტაჟდა სკულპტორის 100 სკულპტურა. პროექტის ორგანიზატორების სურვილით, ქანდაკებები დიდი ხნით უნდა დარჩენილიყო ადგილზე, თუმცა ორი დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ იდეა უარყო. განაცხადეს, რომ პროექტი, როგორც აქცია, ზაფხულშივე დასრულდება.

ბრინჯაოს სკულპტურები ადამიანის ზომებში 2010 წელს გამოჩნდნენ ავსტრიის მთებში. როგორც ავსტრიული პრესა იუწყებოდა, ბუნებაში მათი არსებობა მცხოვრებლებსა და ტურისტებში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა. მათგან უმრავლესობას ერთი შეხედვით ეგონა, რომ კლდის პირას ადამიანები იდგნენ, რომლებიც ხეობაში გადასაჩეხად ემზადებოდნენ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ნამუშევრები ვანდალიზმის მსხვერპლნიც ხშირად გამხდარან.

გორმლის სხვა, ამის მსგავსი "ადამიანები" გამოფენილია ლონდონსა და ნიუ იორკში და მათ ყველგან უაღრესი პატივისცემითა და სიამაყით იცავენ. მაგალითად, ლივერპულთან ახლოს მისი "სხვა ადამიანები" დროებით, 2007 წლამდე უნდა მდგარიყვნენ, თუმცა, საზოგადოების თხოვნით, ისინი იქ სამუდამოდ დარჩნენ.

ისლამისტები ტიმბუქტუს ისტორიულ ძეგლებს ანადგურებენ

ივა შილაკაძე

მალიში ისლამისტების ხელში აღმოჩნდა ისტორიული ქალაქი ტიმბუქტუ, რომელშიც ისლამური წმინდანების 16 მავზოლეუმია. ეს მავზოლეუმები "იუნესკოს" მიერ მსოფლიოს კულტურული ძეგლების სიაშია შეტანილი. სამწუხაროდ, ამ ძეგლებს უახლოეს დღეებში განადგურება ემუქრება. დაჯგუფება "ანსარ-დინ"-ის ბოევიკებმა მათი ნგრევა შაბათს დაიწყეს და მთლიანად მათ მოსპობას აპირებენ.

დაჯგუფება "ანსარ-დინი" ისლამის ფუნდამენტური მიმართულების მიმდევარია. მათ აქვთ კავშირები "ალ კაიდასთანაც". მათთვის წმინდანების კულტი კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებაა. მუსულმანების უმრავლესობისთვის, რომლებიც ამ რელიგიის ტრადიციულ ფორმებს აღიარებენ (მაგალითად, სუფიებისთვის), წმინდანების პატივისცემა ნორმალური მოვლენაა.

მალიში ისლამისტებმა ისარგებლეს ქვეყანაში მომხდარი სამხედრო გადატრიალებით და, ტუარეგების მომთაბარე ტომის მებრძოლებთან ერთად, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიკავეს. გადატრიალების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ, სამხედროების აზრით, ხელისუფლება კარგად ვერ ებრძოდა ამბოხებულებს, თუმცა ხელისუფლების უკანონო ცვლილების შემდეგ სიტუაცია სერიოზულად გართულდა. მოგვიანებით ტუარეგებსა და ისლამისტებს შორის განხეთქილება მოხდა და "ანსარ-დინმა" მომთაბარე ტომის მებრძოლებს სხვა სახელმწიფოებისკენ დაახევინეს. შედეგად, მალის ჩრდილოეთ ნაწილს ამჟამად მხოლოდ "ანსარ-დინის" ისლამისტები აკონტროლებენ.

შაბათს მათი მებრძოლები წერაქვებითა და ნიჩბებით შეესივნენ მუსულმანი წმინდანების მავზოლეუმებს და ნგრევა დაუწყეს. თვითმხილველთა ცნობით, უკვე კვირას დანგრეული იყო ერთიდან სამამდე მავზოლეუმი. ნგრევა მათ სიდი მაჰმუდის მავზოლეუმით დაიწყეს, რომელსაც რადიკალი ისლამისტები აპრილშიც დაესხნენ თავს. მაშინ მას ცეცხლი გაუჩინეს. დაჯგუფება "ანსარ დინის" წარმომადგენელმა მედიას განუცხადა, რომ ტიმბუქტუს ყველა აკლდამას "გამონაკლისის გარეშე" დაანგრევენ. "იუნესკოს" წარმომადგენელმა ალისანდრა კამინსმა მავზოლეუმების დანგრევის თაობაზე განაცხადა, რომ "ეს ტრაგიკული ცნობაა ყველა ჩვენგანისთვის. მე მოვუწოდებ კონფლიქტის ყველა მხარეს ტიმბუქტუში პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ."

შუა საუკუნეებში ტიმბუქტუ განვითარებული სავაჭრო ცენტრი იყო. ის საჰარის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ქალაქი ცნობილია თავისი უჩვეულო არქიტექტურით. შენობები, ძირითადად, თიხისა და ხისგან არის აგებული. ტიმბუქტუ ცნობილია აგრეთვე ძველი ხელნაწერების საცავებით. ამ ქალაქში 60 სხვადასხვა კერძო ბიბლიოთეკაში 700 ათასზე მეტი ხელნაწერი ინახება. ტიმბუქტუს 333 წმინდანის ქალაქსაც უწოდებენ.

ისლამისტებმა ტუარეგები განდევნეს მალის ამ რეგიონში მდებარე კიდევ ერთი მოზრდილი ქალაქიდან - გაოდან. ამ ქალაქში მდებარეობს მეჩვიდმეტე საუკუნის იმპერატორის მოჰამედ ასკიის აკლდამა. ისევე როგორც ტიმბუქტუს მავზოლეუმები, ასევე გაოში მდებარე იმპერატორის აკლდამა იუნესკომ წინა კვირაში შეიტანა იმ კულტურული ძეგლების სიაში, რომლებსაც მალიში მიმდინარე არეულობების გამო განადგურება ემუქრება. მიმომხილველების აზრით, ისლამისტების ეს ვანდალური გამოხტომა შეიძლება იყოს სწორედ რეაქცია საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოვლენილ ყურადღებაზე.

გუშინ, გვიან საღამოს, გავრცელებული ცნობის თანახმად, ისლამისტები გუშინ შეუდგნენ ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეჩეთის სიდი იახიას ნგრევას. იგი მეთხუთმეტე საუკუნეშია აგებული და ქალაქის სამი მეჩეთიდან ერთ-ერთია, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

ისლამისტების მიერ ტიმბუქტუში გამოვლენილი ვანდალიზმი შეიძლება შევადაროთ 21-ე საუკუნის დასაწყისში ავღანეთში მოძრაობა "თალიბანის" მიერ ჩადენილ ანალოგიურ დანაშაულს მსოფლიო მემკვიდრეობის წინაშე, როდესაც მათ კლდეში ნაკვეთი გიგანტური ბუდისტური ქანდაკებები არტილერიის გამოყენებით დაანგრიეს. ეს მოხდა ამერიკაზე "ალ კაიდას" ტერორისტული თავდასხმიდან - ავღანეთში ნატო-ს შეჭრამდე პერიოდში.

რუსეთი ცენტრალურ აზიას ომებით აშინებს

პირველი გვერდიდან

რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის - ფედერაციის საბჭოს თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის წინაშე გამოსვლისას რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა ვლადიმირ ჩირკინმა არ გამორიცხა, რომ "ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ენერგეტიკის, წყლის და მიწათსარგებლობის საკითხებში სახელმწიფოთაშორისი უთანხმოებების პროგნოზირებადი გამწვავებისას შეიძლება, წარმოიშვას ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტები უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის მონაწილეობით." მას არ დაუზუსტებია, რა შემთხვევაშია ეს შესაძლებელი. ამავე სხდომაზე მან კვლავ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც წარმოიშვა ტაჯიკეთთან მოლაპარაკებებში რუსული სამხედრო ბაზის ქვეყანაში დატოვების შესახებ. ამ თემას ჩირკინი რამდენიმე დღის წინაც შეეხო ჟუკოვსკში სამხედრო ტექნიკის გამოფენის გახსნაზე, რის შესახებაც "24 საათი" უკვე წერდა.

ტაჯიკეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ ლოკალური სამხედრო კონფლიქტების შესახებ ვლადიმირ ჩირკინის ნათქვამი პოლიტიკურად არაკორექტულია. ტაჯიკი სამხედროების თქმით, რუს გენერალს შეეძლო, თავისი შეშფოთება ინტეგრაციული სტრუქტურების, იგივე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ან ორმხრივი შეხვედრის დროს გამოეხატა. მან კი ასეთი უსაფუძვლო პროგნოზის გასაკეთებლად საჯარო გამოსვლის ფორმა აირჩია, თან ეს განცხადება არანაირად წაადგება შესაძლო უთანხმოებების მოგვარებას.

ტაჯიკმა სამხედროებმა კარგად იგრძნეს, რომ ჩირკინის სიტყვების მიზანი, ძირითადად, მათი "შეშინება" იყო, რადგან ბაზის მომავალზე მოლაპარაკებები მძიმედ მიმდინარეობს. ტაჯიკეთის მხარემ განაცხადა, რომ ეს პროცესი დათქმულ დროში დასრულდება, თუ ორი სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესაბამისი დირექტივა, კეთილი ნება და ურთიერთგაგება იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ განცხადებაში არანაირი მინიშნება არ არის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაზე, თუ გარკვეული პირობები არ დაკმაყოფილდება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს, რუსეთის გარდა, სხვისი იმედიც გაუჩნდათ.

ტაჯიკეთზე გავლენის მოსახდენად რუსეთს, ომით დამუქრების გარდა, სხვა ბერკეტებიც აქვს, თუმცა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან უზბეკეთის გასვლა კრემლს ამაში ნამდვილად "დაეხმარა". თავის მხრივ, რუსი ექსპერტები (ჯერ ამის შესახებ ოფიციალურ პირებს არაფერი უთქვამთ) მედიის საშუალებით უზბეკეთსაც "აშინებენ" საშინაო სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ესკალაციით და ავღანეთიდან ისლამისტების შემოტევით. თან დასძენენ, რომ არაბული სახელმწიფოების მსგავსად, მოვლენების ასეთი განვითარებისას მათ შეერთებული შტატების მხარდაჭერა ვერ დაიცავს. უფრო მეტიც. დასავლეთთან უზბეკეთის მეგობრობის შემთხვევაში ისლამისტებს ისლამ ქარიმოვის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რუსი მიმომხილველების აზრით, "მეტი სტიმული" ექნებათ.

რუსეთის და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ჩინოსნები კი ვერ მალავენ უკმაყოფილებას ორგანიზაციიდან უზბეკეთის გასვლის გამო, თუმცა ჩანს, რომ მათ რეალურად არაფრის შეცვლა შეუძლიათ - ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე.

ავღანეთში ნატო-ს სამი სამხედრო მოკლეს

ავღანეთის სამხრეთ ნაწილში პოლიციის ფორმაში გადაცმულმა შეიარაღებულმა პირმა ნატო-ს სამი სამხედრო მოკლა. თავად თავდამსხმელი დაჭრილია. კოალიციის ძალების ოფიციალურ წარმომადგენელს არ განუცხადებია, რა ეროვნების არიან დაღუპული ჯარისკაცები. როგორც წესი, ამას დაღუპულების ოჯახის წევრებისთვის ტრაგიკული ამბის შეტყობინებამდე არ აცხადებენ. როგორც აღნიშნავენ, თავდაპირველად გაარკვევენ, იყო თუ არა თავდამსხმელი სინამდვილეში პოლიციელი. 2012 წლის დასაწყისიდან ავღანეთის სამხედროების ფორმაში გადაცმულმა პირებმა ნატო-ს ოცზე მეტი სამხედრო მოკლეს.

თურქმენეთი აზერბაიჯანს საერთაშორისო სასამართლოთი ემუქრება

ოფიციალური აშხაბადი აზერბაიჯანს კასპიის ზღვაში არსებულ "ქიაფაზის" საბადოზე ბაქოს პრეტენზიების გამო საერთაშორისო სასამართლოთი დაემუქრა.

თურქმენეთის პოზიციის შესახებ 29 ივნისს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მინისტრმა კაკაგელდი აბდიალევმა განაცხადა. მისი სიტყვებით, 2008 წელს აზერბაიჯანში თურქმენეთის პრეზიდენტ გურბანგული ბერდიმუჰამედოვის ვიზიტისას მხარეებს რაიმე შეთანხმების შესახებ ხელი არ მოუწერიათ. ამასთან, თურქმენეთმა სადავო საკითხების მოგვარების ინიციატივა წამოაყენა: "სამწუხაროდ, ამ ინიციატივას აზერბაიჯანის პასუხი არ მოჰყოლია," - აღნიშნავს მინისტრი. მან, ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ "თურქმენეთმა არაერთხელ მოსთხოვა აზერბაიჯანს, სამუშაოები შეეჩერებინა იმ რაიონებში, რომლის იურისდიქციაც ჯერ დადგენილი არ არის. კერძოდ, საუბარია ომარისა და ოსმანის საბადოებზე." "სამწუხაროდ, თურქმენეთს, გაეროს საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვის გარდა, გზა აღარ რჩება," - აღნიშნავს თურქმენი მინისტრი.

ორი კვირის წინ სადავო რაიონში სამუშაოებს ატარებდა თურქმენეთის გეოლოგიური კვლევების ხომალდი, რომელიც აზერბაიჯანის სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებმა გააძევეს. სადავო საბადო ორ ქვეყანას შორის საზღვაო საზღვარზე მდებარეობს. ბაქო აშხაბადს სთავაზობს, "ქიაფაზის" საბადოზე ერთობლივი მუშაობა დაიწყონ, თუმცა აშხაბადი მას საკუთარ საბადოდ მიიჩნევს, ისევე როგორც აზერ-ჩირაგ-გიუნეშლის, რომელსაც აზერბაიჯანი 1994 წლიდან ამუშავებს.

"ირანი სამხედრო წრთვნებისას რაკეტებს გაუშვებს"

ამ კვირაში დაგეგმილი სამხედრო წრთვნების ფარგლებში ირანი რაკეტებს გამოცდის. აღნიშნულის შესახებ ირანული სააგენტო "მეჰრა" იუწყება. სამდღიანი მანევრები დღეს დაიწყება. "წრთვნების ფარგლებში, მოკლე, საშუალო და შორი რადიუსის რაკეტებს გამოიყენებენ, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ასი სამიზნის მიმართულებით გაუშვებენ," - აცხადებს გენერალი ამირ ალი ჰაზიჯაბედი.

ეს განცხადება ევროკავშირის მიერ ირანისაგან ნავთობის შესყიდვაზე დაწესებული ემბარგოს ამოქმედებას დაემთხვა. სანქციების მიზანია, ირანმა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობაზე თქვას უარი. ქვეყნის საგარეო შემოსავლების 80 პროცენტი სწორედ ნავთობის ექსპორტზე მოდის. ირანი გამუდმებით იმეორებს, რომ ბირთვული პროგრამის განვითარება მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

"გაერო დისიდენტს საუდის არაბეთიდან "ალ კაიდას" შავი სიიდან იღებს"

გაეროს დიპლომატის განცხადებით, მიუხედავად საუდის არაბეთის დიდი წინააღმდეგობისა, გაეროს უშიშროების საბჭოს კომიტეტი საუდის არაბეთის მოქალაქეს, დისიდენტ საად ალ-ფაქიჰს იმ სიიდან ამოშლის, რომელშიც ის მოხვდა როგორც "ალ კაიდასთან" კავშირის მქონე პირი. ამ სიაში მყოფი პირების მიმართ გაეროს სანქციები აქვს დაწესებული.

როგორც დიპლომატი აღნიშნავს (მან ვინაობის გამხელა არ ისურვა), ფაქიჰის სიიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტი გაეროს "ალ კაიდას" სიის ახალ ვარიანტზე ვერ შეთანხმდა.

ფაქიჰი აღნიშნულ სიაში 2004 წელს დაამატეს. როგორც ლონდონში მყოფმა ფაქიჰმა "როიტერს" განუცხადა, სიიდან ამოღებისათვის მას დიდი გარჯა დასჭირდა. როგორც არაბი დისიდენტი აცხადებს, რვა წლის განმავლობაში "სპარსეთის ყურის იმ ტირანების მიერ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა, რომლებიც ზესახელმწიფოების მხარდაჭერით სარგებლობენ."

ფაქიჰი ადრე საუდის არაბეთის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, რომელიც "არაბეთში ისლამური რეფორმების მოძრაობას" ხელმძღვანელობდა. იგი ირწმუნება, რომ მის ჯგუფს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნები ამოძრავებდა. ფაქიჰი საუდის არაბეთის ლიდერების კრიტიკით არის ცნობილი.

როგორც აღნიშნავენ, ამერიკა გაეროს უშიშროების საბჭოს იმ 11 ქვეყანას შორის იყო, რომლებიც საუდის არაბეთის პოზიციას იზიარებენ. ფაქიჰის სიიდან ამოღებას უშიშროების საბჭოს შემდეგმა ოთხმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, სამხრეთ აფრიკა და გვატემალა.

მოამზადა თამთა კახაძემ

მობილიზაცია თურქეთ-სირიის საზღვარზე

ხათუნა გაბიევი

ჟენევის კონფერენციის შემაჯამებელი დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ სირიის ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდა არაბულ სახელმწიფო ლიგამ. ლიგის გენერალური მდივანი ნაბილ ალ-არაბი სიტყვით კაიროს ფორუმზე გამოვიდა, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 250 ოპოზიციონერი, როგორც სირიიდან, ასევე მეზობელი ქვეყნებიდან. კოფი ანანის ახალი გეგმა, რომელსაც ხელი ფორუმის მონაწილეებმა რუსეთისა და ჩინეთის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად შეტანილი ცვლილებების შემდეგ მოაწერეს, საერთაშოსიო საზოგადოებას მაინც არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

საუბარია სირიის გარდამავალი მთავრობის შექმნაზე, რომელშიც იქნებიან, როგორც ოპოზიციონერები, ასევე მმართველი რეჟიმის წარმომადგენლები. თავდაპირველად, გეგმა ბაშარ ალ-ასადის გამორიცხვას ითვალისწინებდა დროებითი მთავრობიდან, რასაც მხარს დასავლეთი და არაბულ სახელმწიფო ლიგაც უჭერდა, მაგრამ ამ ფორმით შეთანხმება მიუღებელი აღმოჩნდა ოფიციალური მოსკოვისა და პეკინისთვის. ნაბილ ალ-არაბის განცხადებით, ჟენევის დოკუმენტი მოლოდინს ვერ ამართლებს, რაშიც არაბულ ლიგას სტამბულში მყოფი სირიის ნაციონალური საბჭოც ეთანხმება. სირიის ოპოზიციის ყველაზე გავლენიანი გაერთიანება რიგი პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, გეგმას მეტისმეტად განზოგადებულს უწოდებს. ქვეყნის მმართველი რეჟიმის მონინააღმდეგეებს ყველაზე მეტად არ მოეწონათ ის ფაქტი, რომ ხელმოწერილ გეგმაში კონკრეტულად არ არის გაწერილი პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან წასვლის მოთხოვნა.

თუმცა, ოფიციალური პარიზი იმედოვნებს, რომ ჟენევის შეთანხმება პრეზიდენტის თანამდებობიდან ასადის წასვლის წინაპირობა გახდება. როგორც ტელეკომპანია "ტიეფ1"-თან ინტერვიუში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, ჟენევის დოკუმენტი ბაშარ ალ-ასადის გადაყენებას გულისხმობს. **"შეიქმნება ახალი გარდამავალი მთავრობა, რომელსაც სრული უფლებამოსილება გადაეცემა, მასში არ იქნება ბაშარ ასაადი, რადგან შემადგენლობა დაკომპლექტდება იმ ხალხისგან, ვისი კანდიდატურებიც საყოველთაო მოწონებას დაიმსახურებს"**, - ნათქვამია დოკუმენტის ტექსტი. ლორან ფაბიუს თქმით, სირიის ოპოზიცია არადროს დათანხმდება ასადის კანდიდატურაზე და ირიბად ეს შეთანხმება იძლევა იმის სიგნალს, რომ ასადმა თანამდებობა უნდა დატოვოს უმოკლეს ვადებში.

ბაშარ ალ-ასადის გადადგომის აუცლებლობაზე ჟენევაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც ღიად განაცხადა.
30 ივნისს მიღებულმა დოკუმენტმა ხელი მშვიდობის დამყარებასაც რომ ვერ შეუწყო ის ფაქტიც მოწმობს, რომ სროლა სირიის სამხედასხვა ქალაქში და გამალებული სამხედრო მობილიზაცია თურქეთის სასაზღვრო პერიმეტრზე ამ დრომდე გრძელდება. ოფიციალურ ანკარას უკვე მოუხდა 6 ერთეული "ეფ-16" ტიპის გამანადგურებლების მობილიზება საზღვარზე, როდესაც სამჯერ გამოჩნდნენ საზღვართან სახიფათო სიახლოვეზე სირიის სამხედრო ვერტმფრენები. მართალია, მათ თურქეთის საჰაერო სივრცე არ დაურღვევიათ, მაგრამ განგაშისთვის მათი მიახლოებაც სრულიად

საკმარისი გახდა. თურქეთმა ოთხი გამანადგურებელი ინჯირლიკის, ორიც - ბატმანის ბაზიდან გაუშვა.

თურქეთის შეშფოთება სრულიად გასაგები ხდება თუნდაც მას შემდეგ, რაც ბრიტანულმა პრესამ საერთაშორისო საჰაერო სივრცეში სირიის მხრიდან ჩამოგდებული თურქული სადაზვერვო თვითმფრინავის შესახებ ახალი დეტალები გაავრცელა. "სანდი ტაიმსის" მონაცემებით, რაც დიპლომატიურ წყაროებს ეყრდნობა, ინციდენტთან თავისუფლად შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო რუსეთი. **"აშკარად გამოიკვეთება რუსული კვალი. ჩვენ არ გაგვიკვირდებოდა თუ კი რუსი სპეციალისტები იდგებოდნენ სირიელი ოფიცრების გვერდით ინციდენტის დროს, თუნდაც რომ არ დაეჭირათ ხელი ღილაკზე რუსებს"**, - მოყავს ბრიტანულ გამოცემას ერთ-ერთი ახლოაღმოსავლელი დიპლომატის ციტატა. "სანდი ტაიმსის" ანონაიმური წყაროს შეფასებით, თურქული "ეფ 4 ფანტომის" ჩამოგდება შესაძლოა გავიგოთ როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის გაგზავნილი გაფრთხილება - თავი შეიკავოს სირიის საზღვრებთან მიახლოებისგან.

როგორც 22 ივნისის ინციდენტის შემდეგ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, სირიის მხრიდან თურქეთის საზღვართან მიახლოებაც კი საფრთხედ იქნება აღქმული. ახალი ინსტრუქცია პოტენციურ საფრთხეზე რეაგირებისთვის უკვე გააცნეს საჯარისო ნაწილებსაც. საინფორმაციო სააგენტო "ასოშიეიტედ პრესის" თანახმად, სასაზღვრო ზონასთან სახიფათო მანძილზე გაკეთებულ განცხადებაში თურქმა სამხედროებმა აღნიშნეს, რომ სირიის ვერტმფრენებმა საზღვრიდან 6,5 კილომეტრის დაშორებით გაიფრინეს.

რაც შეეხება თავად სირიაში მიმდინარე მოვლენებს, დამასკოსა და ჰომსში ორმხრივი სროლის პერმანენტულობის გარდა, საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ ჰომსში სამთავრობო ძალების ტყვეობაში რჩება 800-მდე ოჯახი, რომელიც ტყვიების ზუზუნში ამაოდ ელის ჰუმანიტარულ დახმარებას. ჟენევის დოკუმენტის თანახმად, სირიაში სრული მასშტაბით უნდა განახლდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მუშაობა, რომელიც დროებით შეწყვეტილი იყო და ახალ მითითებებს ელოდა საერთაშორისო საზოგადოებისგან. მისიის ხელმძღვანელი რობერტ მუდი უკვე დაბრუნდა დამასკოში და დამკვირვებელთა ჯგუფთან ერთად რამდენიმე საავადმყოფოს მონახულებაც შეძლო ორშაბათს. თუმცა, სირიის დედაქალაქის მისადგომებთან განახლებული საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მისიის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ დროებით თავი შეეკავებინათ სახიფათო რაიონებში გადაადგილებისგან.

მექსიკაში არჩევნებს ოპოზიციის ლიდერი იგებს

სალომე ჭანიაშვილი

საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული წინასარი მონაცემების თანახმად, მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნებს ოპოზიციის კანდიდატი ენრიკე პენია ნიეტო იგებს. ორშაბათს გავრცელებული ინფორმაციით, "ინსტიტუციონალურ-რევოლუციური პარტიის" ლიდერმა 38 პროცენტი მოიპოვა და დაახლოებით 7 პროცენტით უსწრებს მთავარ კონკურენტს, მეხიკოს ყოფილ მერს, 58 წლის ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორს, რომელიც მემარცხენე დემოკრატიულ-რევოლუციურ პარტიას წარმოადგენს. მას ხმათა 31 პროცენტი აქვს. დაახლოებით 25 პროცენტი მოიპოვა მმართველი პოლიტიკური ძალის "ეროვნული მოქმედების პარტიის" ლიდერმა, 51 წლის ჟოსეფინა ვასკეს მოტამ. მცირერიცხოვანი პარტიის "ახალი ალიანსის" ლიდერმა გაბრიელ კუადრიმ კი ხმათა მხოლოდ 4 პროცენტი მოიპოვა. მოქმედ პრეზიდენტს ფელიპე კალდერონს, კონსტიტუციის თანახმად, საკუთარი კანდიდატურის დაყენება აღარ შეეძლო. მას უკვე მეორე ვადა უმთავრდება.

45 წლის ნიეტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის თავიდანვე ფავორიტად მიიჩნეოდა. პარტია, რომელსაც ის წარმოადგენს, ქვეყანას 71 წელი მართავდა, სანამ 2000 წელს არჩევნებში არ დამარცხდა. საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, მექსიკაში კონგრესის და რამდენიმე გუბერნატორის არჩევნებიც ტარდებოდა. კერძოდ, ცნობილი უნდა გახდეს 128 სენატორისა და ქვედა პალატის 500 დეპუტატის ვინაობაც.

ქვეყნის ფედერალური საარჩევნო ინსტიტუტის განცხადებით, არჩევნები სერიოზული ინციდენტების გარეშე ჩატარდა და ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა აღინიშნებოდა. სულ ამომრჩეველთა სიაში 80 მილიონი ადამიანი იყო რეგისტრირებული. ძირითადი საარჩევნო უბნები დაიხურა ადგილობრივი დროით 18:00 საათზე, ხოლო რეგიონების ნაწილში - 1-2 საათით გვიან. წინასწარი შედეგები ხმების მთლიანად დათვლის შემდეგ დღესვე იქნება ცნობილი. არ არის მითითებული, მაგრამ შეიძლება საჭირო გახდეს მეორე ტური.

ქვეყნის ფედერალური საარჩევნო ინსტიტუტის განცხადებით, ოფიციალურად დადგენილი 143,1 ათასი საარჩევნო უბნიდან მხოლოდ ორი არ გაიხსნა სხვადასხვა მიზეზის გამო. ამასთან ერთად, არჩევნე-

ბის მსვლელობის დროს საარჩევნო უბნებს ათასობით პოლიციელი იცავდა, რათა თავიდან აეცილებინათ ნარკო-დილერების მოსალოდნელი თავდასხმები. თუმცა, ოფიციალური ინფორმაციით, არჩევნებმა ექსცესების გარეშე ჩაიარა.

არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი მოვალეობის შესრულებას 2012 წლის 1 დეკემბერს დაიწყებს და პრეზიდენტის სკამს 6 წლით დაიკავებს. მიმდინარე არჩევნებს მექსიკის ფედერალურმა საარჩევნო ინსტიტუტმა ისტორიული მოვლენა უწოდა, რადგანაც არჩევნებზე მოსახლეობის რეკორდული რაოდენობა იყო რეგისტრირებული. ამომარჩეველთა აქტიურობაც ძალიან მაღალი იყო. არჩევნებს თვალს ადევნებდა 3,8 ათასი ადგილობრივი დამკვირვებელი და 696 უცხოელი - 69 ქვეყნიდან.

მექსიკელებს რამდენიმე ძირითადი პრობლემა აწუხებთ. პირველ რიგში, ეს არის სიღარიბე - მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის; მეორე პრობლემა კი - ნარკომაფიასთან ბრძოლაა. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა მექსიკაში 6 წლის წინ პრეზიდენტმა ფილიპე კალდერონმა დაიწყო. მაფიის ბევრი წევრი დაიჭირეს, ბევრიც მოკლეს, ტონობით ნარკოტიკი გაანადგურეს, თუმცა პრობლემა მაინც მოუგვარებელი რჩება. ეს ის ორი ძირითადი პრობლემაა, რომელიც დაუყოვნებლივ ყურადღების მიქცევას საჭიროებს ახალი ლიდერის მხრიდან, ვინც არ უნდა გახდეს ის.

უძველესი ბრიტანული ბანკი BARCLAYS-ი სკანდალში ეხვევა

თინა შავაძე

უძველესი ბრიტანული ბანკის Barclays-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ მარკუს ეიდზიუსმა დაადასტურა, რომ თანამდებობას ტოვებს.

"ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ეიდზიუსის გადადგომის შესახებ საუბრები აქტიურად დაიწყო გასულ კვირას, როცა Barclays-ი სავალუტო ბაზარ Libor-თან დადებული გარიგებების გამო 452 მილიონი დოლარით დააჯარიმეს.

ამჟამად, სავალუტო ბაზარ Libor-ის განაკვეთების შესახებ მიცემული რეკომენდაციების საქმეზე დაწყებულია გამოძიება ბრიტანული ბანკის წინააღმდეგ. საუბარია რამდენიმე ბანკის გარიგებაზე, რათა საბანკო საპროცენტო განაკვეთები დაბალ დონეზე დაფიქსირებულიყო.

ბევრი ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ პოსტს Barclays-ის პრეზიდენტი ბობ დიამონდიც დატოვებს. ის ოთხშაბათს მოხსენებით წარდგება თემთა პალატის ფინანსთა კომიტეტის წევრების წინაშე.

კომიტეტს ხუთშაბათს მარკუს ეიდზიუსიც მისცემს ჩვენებას. მისი თქმით, სკანდალმა "ბანკის რეპუტაციას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა".

Barclays-ი აპირებს, სრულყოფილი აუდიტორული შემოწმება ჩაატაროს, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეგულატორების მონაცემებით, Barclays-ი საბანკო სესხების ღირებულების შესახებ არასწორ ინფორმაციას ავრცელებდა და ამ გზით მოგების გაზრდასა და საიმედო იმიჯის შენარჩუნებას ცდილობდა.

დიდი ბრიტანეთის საფინანსო ზედამხედველობის სამსახური ვარაუდობს, რომ ბანკთაშორისი დაკრედიტების მაჩვენებლით ყველაზე სერიოზულ მანიპულირებას ადგილი ჰქონდა 2005 და 2009 წლებს შორის.

Barclays-ი საბანკო აქტივების სიდიდით დიდი ბრიტანეთში მეორე ბანკია. მისი ისტორია 300 წელს ითვლის. Barclays-ის საბანკო ჯგუფის წმინდა ზარალმა 2012 წლის I კვარტალში 337 მილიონი ფუნტი (543.7 მილიონი დოლარი) შეადგინა, მაშინ როცა გასული წლის შესაბამის პერიოდში ბანკმა 1.24 მილიარდი ფუნტის წმინდა მოგება მიიღო.

ბოლო დღეებში ბრიტანული გაზეთების მთავარი თემა ბრიტანეთის წამყვანი

ბანკების გარშემო დაწყებული სკანდალია. გაზეთი Times-ი აქვეყნებს სტატიას სათაურით - "ბbarclay-ის ბოსი მიდის, მაგრამ სკანდალი ღრმავდება."

გაზეთის ცნობით, უკვე ორშაბათიდან ბანკს აღარ ეყოლება დირექტორთა საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე, თუმცა ეს მხოლოდ პირველი მსხვერპლია.

გაზეთი Independent-ი თავის სარედაქციო კომენტარში წერს, რომ ბევრი ბრიტანული ბანკი შესაძლოა, ინვესტორების მხრიდან ძვირადღირებული სარჩელების ობიექტი გახდეს. უცხოეთში ბრიტანული ბანკების რეპუტაციის შელახვა კი ქვეყნის მთელ ფინანსურ სექტორს უზარმაზარ ზარალს მოუტანს.

გაზეთი ასევე აქვეყნებს ინტერვიუს ცნობილ ამერიკელ ეკონომისტთან, ნობელის პრემიის ლაურეატ ჯოზეფ სტიგლიცთან, რომელიც აცხადებს, რომ საკუთარი დაუსჯელობით გათამამებული ბანკირები საზოგადოების კონტროლქვეშ უნდა აღმოჩნდნენ.

მისი აზრით, ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იქნება იურიდიული პასუხისმგებლობის გავრცელება ბანკირებზე მათი "სიხარბისა და სისულელის" გამო. "მოდით, რამდენიმე ბანკირი ციხეში ჩავსვათ, ეს სხვებს ასწავლის, რომ უფრო ფრთხილად იმოქმედონ," - აცხადებს ეკონომისტი.

ცნობისათვის - აშშ-ს, ევროპისა და აზიის რეგულატორებმა გასულ კვირას მსოფლიოს რამდენიმე უმსხვილესი ბანკის შემოწმება დაიწყეს. ისინი ეჭვმიტანილები არიან ბანკთაშორისი დაკრედიტების განაკვეთების მანიპულირებაში. რეგულატორები ფიქრობენ, რომ ამგვარმა მაქინაციებმა გავლენა მოახდენა სესხის საპროცენტო განაკვეთზე და მილიონობით კლიენტის ხარჯები გაზარდა.

"ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ბანკებს შორის, რომლებიც შემოწმებას გადიან, Citigroup, JP Morgan და Deutsche Bank არიან.

ჩემპიონის ანატომია

ესპანეთის ნაკრები მორიგ ტიტულს ზეიმობს

პირველი გვერდიდან

ევრო 2012-ზე გამართული მატჩების ნახევარი, მათ შორის, ფინალიც და მეოთხედფინალიც "ფურია როხამ" ეგრეთ წოდებული "ცრუ ფორვარდით" (ამ ფუნქციას სესკ ფაბრეგასი ასრულებდა) დაიწყო. ეს მოდელი ტურნირის მსვლელობისას ჩამოყალიბდა. ევრო 2012-ის დაწყებამდე გამართულ სამ სპარინგში ესპანეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა შეტევის რამდენიმე ვარიანტი გამოცადა, თუმცა, არც ერთ მათგანში არ იგულისხმებოდა ფაბრეგასი "ცრუ ცხრა ნომრად". შექმნილ ვითარებაში პარადოქსულიცაა, რომ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ფერნანდო ტორესი, რომელმაც მინდორზე სულ რაღაც 189 წუთი გაატარა. ეს თითქმის ორი სრული მატჩია. ასეთი სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლია დღევანდელ ესპანეთის ნაკრებს - მოიგო ტურნირი ცენტრფორვარდის გარეშე და შენი გუნდის მთავარი ცენტრფორვარდი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. პარადოქსია? რა თქმა უნდა, მაგრამ ესპანეთის ნაკრებს ხომ შეუძლებელი შეუძლია.

ესპანური პაუზა

მომთხოვნ პუბლიკას ტურნირის მსვლელობისას ესპანეთის ნაკრების მიმართ ბევრი პრეტენზია ჰქონდა. ამბობდნენ, რომ ესპანეთი სანახაობას აღარ გვთავაზობს, რომ "ფურია როხა" თავისი მოკლე პასებით მოსაბეზრებელი და მოსაწყენი გახდა. აღფრთოვანებას იწვევდნენ ტურნირის სხვა მონაწილეები: ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში - რუსეთი, შემდეგ - საფრანგეთი, გერმანია, იტალია... თუმცა, გულშემატკივართა ფავორიტები ერთიმეორის მიყოლებით თმობდნენ პოზიციებს და მათ თამაშს ხიბლი აკლდებოდა. ესპანელები კი მშვიდად მიდიოდნენ დასახული მიზნისკენ და სრული სიძლიერით გადამწყვეტ მატჩში წარმოაჩინეს თავი. ნახევარფინალში ესპანეთის ნაკრებს სანახაობა არ უჩვენებია, მაგრამ შთამბეჭდავი იყო თავად ის ფაქტი, რომ ესპანელებმა, რომლებსაც, პორტუგალიის ნაკრებთან შედარებით, ორი დღით ნაკლები ჰქონდათ დასასვენებლად, დამატებით დროში საოცრად მოუმატეს და რეალური ძალა სწორედ მაშინ აჩვენეს. ფინალი კი "ფურია როხას" საუკეთესო მატჩად იქცა. ასეთი რამ არც ისე ხშირად ხდება - ჩემპიონები საუკეთესო მატჩებს ფინალამდე თამაშობენ. ესპანეთის ნაკრებს კი აქვს უნიკალური ნიჭი, ფინალისთვის გავიდეს ფორმის პიკზე. ასე რომ, ესპანეთმა ხანგრძლივი პაუზა დაიჭირა და შემდეგ... იყო ფინალი.

ათი ნული

ევროპის ჩემპიონატზე გამართულ ექვს მატჩში ესპანელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს, ისიც ტურნირის პირველ მატჩში. შესაძლოა, დაცვაში თამაშის ორგანიზება დღევანდელი ესპანეთის ნაკრების წარმატების მთავარი მიზეზიც იყოს.

უპრეცედენტო შემთხვევა - ევრო 2008-ის, 2010 წლის მუნდიალისა და ევრო 2012-ის ფლეი-ოფების ეტაპზე ესპანეთის ნაკრებმა მთლიანობაში ათი მატჩი გამართა. ახლა გაიხსენეთ, რამდენი გოლი გავიდა ამ თამაშებში ესპანელთა კარში. დიახ, არც ერთი.

არადა, ევრო 2012-ის დაწყების წინ ამბობდნენ, რომ ესპანეთის ნაკრების ყველაზე სუსტი წერტილი დაცვაა. 2010 წელთან შედარებით ხომ "ფურია როხას" დაცვაში საგრძნობი ცვლილება მოხდა. კაპდევილას ნაცვლად მარცხენა ფლანგზე ხორდი ალბა გამოჩნდა, მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა სერხიო რამოსი, რომელმაც კარლეს პუიოლის ტრავმის გამო ცენტრში გადაინაცვლა და პიკეს შეუწყვილდა (პიკე და რამოსი ის ორი მცველია, რომლებმაც 2010 წლის მუნდიალზე ესპანეთის ნაკრების ძირითადში ითამაშეს), მარჯვენა ფლანგზე კი ალვარო არბეოლა გამოჩნდა. მეტიც, არბეოლა და ხორდი ალბა ნაკრების დებიუტანტებადაც შეიძლება ჩაითვალონ. მიუხედავად ამისა, ესპანეთის ნაკრების დაცვის თამაში სამაგალითო იყო, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ როდესაც გუნდს ჰყავს ისეთი ნახევარდაცვა, როგორიც "ფურია როხას", მცველებზე არც ისე დიდი დატვირთვა მოდის.

ჯოკერი

მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში ვისენტე დელ ბოსკეს მთავარი პრობლემა დაცვის მარცხენა ფლანგი იყო. საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მატჩში, რომელიც ესპანელთათვის არაფერს წყვეტდა, დელ ბოსკემ ხორდი ალბა გამოცადა. ამ შემთხვევაში დამსახურებას ნუ დავუკარგავთ "ვალენსიას" თავკაცს უნაი ემერის. მან მარჯვენა ჰავბეკ ხორდი ალბაში მარცხენა მცველის ტალანტი აღმოაჩინა.

ევრო 2012-ზე ხორდი ალბა, რომელსაც თანაგუნდელთა შორის ნაკრებში თამაშის ყველაზე მცირე სტაჟი ჰქონდა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერად მოგვევლინა. ფინალამდე ესპანეთის ფერმკრთალ თამაშს სწორედ ხორდი ალბას აფეთქებები ალამაზებდა, ფინალში კი ამ ფეხბურთელმა საერთოდ გაიბრწყინა. საფრანგეთის ნაკრებთან მის მიერ ჩაბი ალონსოსთვის გაკეთებულ ულამაზეს პასსაც ნუ დავივიწყებთ. ფინალში გატანილმა მისმა მეორე გოლმა კი თამაშის ინტრიგა საბოლოოდ მოკლა. ექსპერტები იმასაც ამტკიცებენ, რომ ევროპის ჩემპიონატების ფინალების ისტორიაში მცველებს გოლები არა აქვთ გატანილი.

გაგაცნობთ ფინალური მატჩის შემდეგ მწვრთნელების მიერ გაკეთებულ კომენტარებს:

ვისენტე დელ ბოსკე: (ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "სანამ მატჩს შევაფასებდე, მინდა ვთქვა, რომ ხანდახან ყველა მარცხდება. იტალიის ნაკრებმა ტურნირი ბრწყინვალედ ჩაატარა, დღეს კი მოტას ტრავმამ თამაში თითქმის მოკლა. ჩვენ კარგი მატჩი გავმართეთ, გავიტანეთ პირველი გოლი. ამის შემდეგ მეტოქე უფრო კარგად ათამაშდა და მეტად საშიშიც გახდა, მაგრამ ჩვენ ზეწოლა გავაგრძელეთ. ეს ისტორიული მიღწევაა ესპანური ფეხბურთისთვის.

ესაა ფეხბურთელთა დიდი თაობა. მათ იციან, როგორ უნდა ითამაშონ. ეს არის ესპანური ფეხბურთის ტრიუმფი. ოთხი წლის წინ ვენაში გამართულ ფინალში ლუის არაგონესმა გვიჩვენა ის გზა, საითაც უნდა წავსულიყავით.

ვფიქრობ, ჩვენ შევქმენით რაღაც ისეთი, რაც უწინ ფეხბურთში არ იყო. ამიტომ ამ გამარჯვებას ვუძღვნი ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტში მონაწილეობდა, ვისაც ჩვენი წარმატებისა სჯეროდა და ჩვენს სტილს აყალიბებდა. ახლა უკვე მომავალზე ვფიქრობთ. წინ კიდევ ბევრი ტურნირია: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, კონფედერაციის თასის გათამაშება და, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი" (11 სექტემბერს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, საქართველოს ნაკრებმა სწორედ ესპანეთს უნდა უმასპინძლოს თბილისში).

ჩეზარე პრანდელი: (იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ფინალს დაღლილები შევხვდით. კიევში პარასკევ საღამოს ჩამოვედით, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების წინააღმდეგ ვთამაშობდით. მეორე ტაიმში რამდენიმე მომენტი შევქმენით, მაგრამ მოტას ტრავმის შემდეგ არაფერი აღარ გამოგვივიდა. ტურნირი შესანიშნავად ჩავატარეთ. საწყენია, რომ ორი დღით მეტი დასვენების საშუალება არ მოგვეცა.

ესპანელები კი ისტორიაში შევიდნენ. მათ უმაღლესი კლასის ბევრი მოთამაშე ჰყავთ და გამოკვეთილი ცენტრფორვარდის გარეშეც ნებისმიერი გუნდის დაცვას დიდ პრობლემებს უქმნიან."

ევრო 2012-ის სიმბოლურში ათი ესპანელია

ევრო 2012-ის ოფიციალურმა საიტმა ტურნირის სიმბოლური ნაკრები დაასახელა. საერთოდ, ასეთ ტურნირებზე სიმბოლურ ნაკრებში 11 ფეხბურთელი შეჰყავთ ხოლმე, თუმცა, ევრო 2012-ის ორგანიზატორებმა სია გააფართოვეს - სიმბოლური ნაკრები 23 ფეხბურთელისგან შეადგინეს.

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია), იკერ კასილასი (ესპანეთი), მანუელ ნოიერი (გერმანია)

მცველები: ხერარდ პიკე (ესპანეთი), ფაბიუ კოენტრაუ (პორტუგალია), ფილიპ ლამი (გერმანია), პეპე (პორტუგალია), სერხიო რამოსი (ესპანეთი), ხორდი ალბა (ესპანეთი)

ნახევარმცველები: დანიელე დე როსი (იტალია), სტივენ ჯერარდი (ინგლისი), ჩავი (ესპანეთი), ანდრეს ინიესტა (ესპანეთი), სამი ხედირა (გერმანია), სერხიო ბუსკეტსი (ესპანეთი), მესუთ იოზილი (გერმანია), ანდრეა პირლო (იტალია), ჩაბი ალონსო (ესპანეთი)

თავდამსხმელები: მარიო ბალოტელი (იტალია), სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი), დავიდ სილვა (ესპანეთი).

ინიესტა ევრო 2012-ის საუკეთესო ფეხბურთელია

"ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა უეფას კომპეტენტური ჟიურის მიერ ევრო 2012-ის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა დასახელებული.

"ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ანდრეს ინიესტას დასახელება ხაზს უსვამს, რომ ჩვენ კრეატიული და შემტევი ფეხბურთის მიმდევრები ვართ", - ამბობს უეფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი.

შენგელიას ბრუკლინური პერსპექტივა

მას შემდეგ, რაც NBA-ს დრაფტზე "ფილადელფიას" მიერ არჩეული თორნიკე შენგელია "ბრუკლინ ნეთსმა" იყიდა, ამ გუნდის მენეჯერმა ბილი კინგმა განაცხადა, რომ თორნიკეს ერთი სეზონით ევროპაში გაუშვებდა სათამაშოდ, მაგრამ ვითარება სწრაფად შეიცვალა. გაზეთ "ვაშინგტონ პოსტს" ესაუბრა შენგელიას აგენტი გაი ცუკერი, რომელმაც განაცხადა, რომ თორნიკე საზაფხულო ლიგაზე "ნეთსის" რიგებში ითამაშებს და ბრუკლინური გუნდის ხელმძღვანელებს დაუმტკიცებს, რომ NBA-ში თამაშის ღირსია.

"ვიცი, რომ "ნეთსს" სურს შენგელიას დატოვება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ორლანდოს კემპის შემდეგ მიიღებენ. მას ამ გუნდთან არასდროს უვარჯიშია, "ნეთსის" მწვრთნელებს შენგელია საქმეში არ უნახავთ. საინტერესოა, რას იტყვიან ისინი მას შემდეგ, რაც შენგელიას თამაშს უშუალოდ ნახავენ. თუ შენგელიას ევროპაში დააბრუნებენ, ამ გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ. საინტერესო იქნება შენგელიას თამაში ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე. შენგელიამ ერთხელ უკვე გამოაჩინა კარგი თვისებები, როცა ის ტრევიზოს კემპზე იყო. ახლა კი უფრო სერიოზული გამოცდა ელის. ის ორლანდოში ჯულიან რაიტთან და ადამ მორისონთან ერთად ითამაშებს. იქ გამოჩნდება, ჯობს თუ არა შენგელია წინა დრაფტებზე "ნეთსის" მიერ აყვანილ ამ მოთამაშეებს. თორნიკე ძალიან მიზანდასახული და გონებამახვილურად მოთამაშე კალათბურთელია. ვფიქრობ, ის ტოლს არავის დაუდებს".

ნიჟარაძე მსაჯობით უკმაყოფილოა

საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიო ალაფაზე მესამე ადგილისთვის მატჩი ტონგელ თანატოლებთან დაძაბულ ბრძოლაში 29:31 დათმო. ამ თამაშის შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ რაგბის კავშირის ოფიციალური გვერდისთვის კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მსოფლიო ალაფაზე მსაჯობის დონე დაბალი იყო.

"გულდაწყვეტილები ვართ. ტონგელთა გუნდზე უკეთ ვითამაშეთ. სამწუხაროდ, ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან კაცნაკლულები დავრჩით, რასაც კლასში სხვაობა და დაღლილობაც დაემატა. შეცდომები დავუშვით, რაც მატჩის საბოლოო შედეგზე აისახა.

მარცხის მიუხედავად, ვთვლი, რომ კარგი ნაკრები გვყავს. შარშანდელთან შედარებით, გუნდმა უკეთესი თამაში აჩვენა. სამწვრთნელო შტაბის - იან სმიტის, ლადო კილასონიას და ირაკლი ჭყონიას მუშაობით კმაყოფილი ვარ. სამუშაო ბევრი გვაქვს და შეცდომების გამოსწორება რაც შეიძლება მალე უნდა დავიწყოთ.

შეგვეძლო როგორც მესამე ადგილისთვის მატჩის, ისე ტურნირის მოგებაც, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა.

ყოველთვის ვცდილობ, მსაჯობაზე კომენტარისგან თავი შევიკავო, მაგრამ ამჯერად ვიტყვი: მსაჯობა მთელი ტურნირის განმავლობაში იმდენად ცუდი იყო, რომ მატჩის შედეგზე დიდ გავლენას ახდენდა. მიმაჩნია, რომ ფინალში იაპონელები უფრო იმსახურებდნენ გამარჯვებას. ვფიქრობ, მსაჯობასთან დაკავშირებით IRB-ში სერიოზული მსჯელობა უნდა დაიწყოს. ასეთი მიდგომით რაგბი ვერ განვითარდება.

3 ივლისს, გამთენიისას, ნაკრები თბილისში დაბრუნდება, მე კი 5 ივლისს დანიაში, FIRA-ს კონგრესზე მივდივარ. ამის შემდეგ ჩავატარებ პრესკონფერენციას, რომელზეც ეროვნული ნაკრების ჩრდილოამერიკულ ტურნესა და 20 წლამდელთა მსოფლიო ალაფაზე ჩვენი ნაკრების გამოსვლაზე ვისაუბრებ. ასევე შევხვდებით გულშემატკივრებს და მათთან ერთად განვიხილავთ ამ თამაშების პერიპეტიებს," - აღნიშნა გია ნიჟარაძემ.

ევრო 2012-ის ანბანი

ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ უეფას ოფიციალურმა გვერდმა ტურნირის ერთგვარი ანბანი შემოგვთავაზა.

Attendances (დასწრება): 1,4 მილიონზე მეტი გულშემატკივარი ადევნებდა თვალყურს ევროპის ჩემპიონატის მატჩებს უშუალოდ სტადიონის ტრიბუნებიდან. საშუალოდ ერთ თამაშს 46 471 ადამიანი ესწრებოდა. რეკორდი კიევის ოლიმპიურ სტადიონს ეკუთვნის. შვედეთ-ინგლისის მატჩს 64 640 გულშემატკივარი დაესწრო.

Blaszczykowski (ბლაშჩიკოვსკი): პოლონეთის ნაკრების კაპიტანი რუსეთის ნაკრების კარში გატანილი ულამაზესი გოლის ავტორია.

Centurions (ცენტურიონი): ევრო 2012-ზე ნაკრებში გამართული მატჩების მხრივ ასთამაშიან ბარიერს გერმანელმა ლუკაშ პოდოლსკიმ და ესპანელმა ჩაბი ალონსომ გადააბიჯეს. ეს საიუბილეო თარიღი ორივემ გოლით აღნიშნა. ესპანეთის ნაკრების მეკარე იკერ კასილასმა ფინალის მოგებით "ფურია როხას" მაისურით მეასე მატჩი მოიგო.

Deluge (წარღვნა): საშინელი წვიმის გამო უკრაინა-საფრანგეთის თამაში შეწყდა და მხოლოდ 58 წუთის შემდეგ განახლდა.

East (აღმოსავლეთი): ევროპის ჩემპიონატი პირველად გაიმართა აღმოსავლეთ ევროპაში. ტურნირს, რომლის დევიზი იყო "შევქმნათ ისტორია ერთად" პოლონეთმა და უკრაინამ უმასპინძლეს.

Fanzones (ფან-ზონები): 5 მილიონზე მეტმა ქომაგმა ადევნა თვალყური ევრო 2012-ს სპეციალურად შექმნილი ფან-ზონებიდან.

Goals (გოლები): ტურნირის 31 მატჩში გავიდა 76 გოლი.

Headers (თავით გატანილი გოლები): ევრო 2012-ზე თავით ბევრი გოლი გავიდა. ტურნირის პირველი გოლი პოლონელმა რობერტ ლევანდოვსკიმ სწორედ თავით შეაგდო. სულ თავით 22 გოლი გავიდა - გოლების მთლიანი რაოდენობის 22 პროცენტი.

Irish (ირლანდიელები): 24 წლის განმავლობაში პირველად ირლანდიის ნაკრებმა ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე ითამაშა და ჯგუფიდან გასვლის შანსი პირველმა დაკარგა. სამაგიეროდ ირლანდიის ნაკრების ფანები ტურნირის საუკეთესო ფანებად აღიარეს.

Junior (იუნიორები): ჰოლანდიელი ჯეტრო უილიამსი ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც ფინალურ ეტაპზე უთამაშია. დანიის ნაკრებთან გამართულ მატჩში უილიამსი 18 წლის და 71 დღის იყო. ინგლისელი დანი უელბეკი კი ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მეგოლეა (უელბეკი 21 წლისაა).

Keepers (მეკარეები): პოლონელმა პშემისლავ ტიტონმა ტურნირის პირველ მატჩში გაძევებული შჩესნი შეცვალა, გავიდა მინდორზე და პენალტი მოიგერია. არანაკლებ შთამბეჭდავად ითამაშეს ბუფონმა და კასილასმა. "იუვეს" მეკარემ თავისი ოსტატობა მეოთხედფინალში პენალტების სერიაში გამოავლინა, კასილასმა კი ტურნირზე მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა.

Legacy (მემკვიდრეობა): ტურნირის შემდეგ პოლონეთსა და უკრაინას ოთხ-ოთხი მსოფლიო დონის სტადიონი დარჩათ. დაიხვეწა ამ ორი ქვეყნის ინფრასტრუქტურაც.

Mascots (ავგაროზები): სლავეკი და სლავკო ევრო 2012-ზე ნებისმიერ ადგილას შეიძლება გენახათ.

Nul points (ნული ქულა): სწორედ ამდენი ქულა აღმოჩნდა ჰოლანდიის ნაკრების აქტივში ჯგუფური ეტაპის შემდეგ. პირველად ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში "ნარინჯისფერებმა" ტურნირი ნული ქულით დატოვეს.

Oldies (ასაკოვნები): საბერძნეთის ნაკრების 38 წლის მეკარე კოსტას ხალკიასი ევრო 2012-ის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია. მისი თანაგუნდელი გეორგიოს კარაგუნისი კი - ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი მეგოლე. ის სულ რაღაც სამი წლით უმცროსია ყველაზე ასაკოვან მეგოლე, 35 წლის ანდრეი შევჩენკოზე.

Penalties (პენალტები): ანტონინ პანენკას სტილში შესრულებული პენალტით ანდრეა პირლომ ინგლისის ნაკრების დემორალიზაცია შეძლო. ანალოგიური რამ სერხიო რამოსმა პორტუგალიასთან მატჩში გაიმეორა.

Quitting (გადადგომები): სლავენ ბილიჩმა და დიკ ადვოკაატმა ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე თქვეს, რომ თანამდებობას დატოვებდნენ. თავად ევროპის პირველობამ კი ბერტ ვან მარვეიკი და ლორან ბლანი შეიწირა.

Record-breakers (რეკორდები): ესპანეთის ნაკრები პირველი გუნდია ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა და ზედიზედ სამი დიდი ტურნირი მოიგო. ვისენტე დელ ბოსკე პირველი მწვრთნელია, ვინც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მოიგო ევროპის ჩემპიონატი და თან საკლუბო დონეზე ჩემპიონთა ლიგაც აქვს მოგებული.

Shevchenko (შევჩენკო): უკრაინის ნაკრების მთავარმა ვარსკვლავმა პირველივე მატჩში დუბლი შეასრულა და გულშემატკივარი გაახარა, თუმცა, ამის შემდეგ "შევა" თავის გუნდს ვერაფრით ვეღარ დაეხმარა.

Twitter: ევროპის ჩემპიოანტის ფინალს 16.5 მილიონი ტვიტი მიეძღვნა. ესპანელთა მეოთხე გოლის შემდეგ ერთ წამში 15358 გზავნილი გამოქვეყნდა.

Unexpected (მოულოდნელობა): თავისი სენსაციურობით აღბათ არაფერი შეედრება 1992 წლის ევრპის ჩემპიონატზე დანიელთა გამარჯვებას და 2004 წელს ბერძენთა ტრიუმფს. თუმცა ამ გუნდებმა ამჯერადაც გაგვაკვირვეს. ბერძნები ჯგუფიდან გავიდნენ, დანიელებმა კი პირველივე მატჩში ჰოლანდიის ნაკრები დაამარცხეს.

Viewers (მაყურებლები): ევრო 2012-ის ტელეტრანსლაციებს მთელი ევროპა და ევროპის ფარგლებს გარეთაც ადევნებდნენ თვალს. რუსეთ-პოლონეთის მატჩმა რეკორდული ტელეაუდიტორია შეაგროვა. მარტო ვარშავაში ამ თამაშს 14.7 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალს.

Wow: სხვა რა უნდა თქვა ბლაშჩიკოვსკის (რუსეთთან მატჩში), მარიო გომესის (ჰოლანდიასთან მატჩში), ზლატან იბრაჰიმოვიჩის (საფრანგეთთან მატჩში), სამი ხედირას (საბერძნეთთან მატჩში) და მარიო ბალოტელის (გერმანიასთან მატჩში) გოლების შემდეგ.

X-ფაქტორი: კრიშტიანუ რონალდუმ პორტუგალია ნახევარფინალში გაიყვანა, ანდრეა პირლო ტურნირისთვის ფორმის პიკში შევიდა და ევრო 2012 თავისი თამაშით დაამშვენა, თუმცა, ეს ორი გენიოსი ჩავისა და ინიესტას ჩრდილში აღმოჩნდა.

Youth (ახალგაზრდები): გერმანიის ნაკრები ყველაზე ახალგაზრდული იყო ევროპის ჩემპიონატზე. მეოთხედფინალში ბერძნების დამარცხებით გერმანიის ნაკრებმა ფეხბურთის ისტორიაში კიდევ ერთხელ ჩაწერა თავისი სახელი. ეს გერმანელთათვის ოფიციალურ მატჩებში მოპოვებული ზედიზედ მეთხუთმეტე გამარჯვება იყო.

Zoo (ზოოპარკი): ევრო 2012-ის მატჩების პროგნოზირებას ცხოველთა სამყაროს არაერთი წევრი ცდილობდა. სპილო ჩიტა, ტახი ფუნტიკი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი წინასწარმეტყველი გამოჩნდა. მოკლედ, ცხონებული რვაფეხა პაულის საქმე გრძელდება.

ფეტელი ფორმულა 1-ის უდიდესებს ასახელებს

გუდვუდში, ჩქაროსნული რბოლების ერთგვარ ფესტივალზე მყოფი "რედ ბულის" მრბოლელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, გერმანელი სებასტიან ფეტელი ჟურნალისტებთან საუბარში თანამედროვე ფორმულა 1-ის მრბოლელებს შორის უდიდესებს გამოყოფს, უფრო სწორად, მათ, ვისაც ასეთად მიიჩნევს.

"იმ მრბოლელებს შორის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობენ, პირადად მე გამოვყოფდი ფერნანდო ალონსოს, რომელიც ყოველმხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა. ასეთთა შორის მიმაჩნია ლუის ჰამილტონიც, რომელიც ძალიან, ძალიან სწრაფია. მაგრამ ბევრი სხვაცაა. მიხაელ შუმახერი ბრწყინვალე ფორმას წარმოგვიდგენს, რადგან თავისი ნიჭი არ გაუნიავებია.

მიმდინარე სეზონში ბევრი მრბოლელია, რომლებიც შესაშური დონით გამოირჩევიან. ამიტომაა მჭიდრო კონკურენტული ორთაბრძოლები. ნუსხა დიდია, რადგან ბევრი გამარჯვებული გვყავს. დანარჩენებიც ღირსეულად ასპარეზობენ. მიუხედავად ამისა, მრბოლელის სიდიადეს მხოლოდ მისი სტატისტიკური მაჩვენებლებით არ განვსაზღვრავდი. რა თქმა უნდა, ტიტულები წარმატების განუყოფელი ნაწილია. თუ გავიხსენებთ წარსულის უდიდეს მრბოლელებს, ისეთებს, როგორებიც იყვნენ ალენ პროსტი, აირტონ სენა, ჯეკი სტიუარტი... მათ უამრავი ტიტული მოიუპოვეს.

მაგრამ არიან სხვებიც, რომლებიც გახსოვთ, რადგან ჰქონდათ რაღაც განსაკუთრებული, სხვებისგან გამორჩეულები. ფორმულა 1-ის ყველა მრბოლელი ძალიან სწრაფია, მაგრამ მათ ერთ ნაწილს ჰქონდა ის თვისება, რომლის წყალობითაც ხალხს აინტერესებდა მათი ასპარეზობისთვის თვალის მიდევნება", - აღიარებს მსოფლიოს ჩემპიონი სებასტიან ფეტელი.

როდესაც "რედ ბულის" გერმანელ მრბოლელს ჰკითხეს, მაგალითისთვის ვინმე კონკრეტული დაესახელებინა, მან მიუთითა ავსტრიელ იოხენ რინდტზე, რომელიც სიკვდილის შემდეგ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ფეტელმა აღნიშნა ჯიმი კლარკიც, რომელსაც, მისი სიტყვებით, ავტოსპორტის გულშემატკივრები დიდხანს არ დაივიწყებენ.

ზვიგენებთან პირისპირ

თავზეხელაღებულ ავსტრალიელს ხელი მოეცარა

გიგა გურასაშვილი

ბრიტანული წარმოშობის ავსტრალიელ პენი პელფრის განზრახვაში მოეცარა ხელი. მცდელობა, გამხდარიყო პირველი ადამიანი, რომელიც ფლორიდის ყურეს (კუბასა და აშშ-ს შორის) გადაცურავდა ზვიგენებისგან დამცავი სპეციალური გალიით, წარუმატებელი გამოდგა.

49 წლის ქალბატონი, რომელიც უიმედოდ ებრძოდა ძლიერ დინებას, 166-კილომეტრიანი მარშრუტიდან 140 კილომეტრის გაცურვის შემდეგ იძულებული გახდა უარი ეთქვა განზრახვაზე. მანამდე კი დაახლოებით 40 საათი გაატარა წყალში. კუბის სანაპიროდან აშშ-მდე მანძილის გადასაცურად ნავარაუდევი იყო 56 საათი.

პელფრის თანმხლები ჯგუფის წევრების თქმით, შუაღამისას იძლებული გახდნენ, პირდაპირი მნიშვნელობით წყლიდან ამოეთრიათ, რადგან სპორტსმენი უკვე გათანგული იყო და შხამიანი მედუზებისგან ჰქონდა დამწვრობა. პენის წარმომადგენლის ანდრეა ვუდბერნის განცხადებით, ახლა ის ჯანმრთელადაა.

ფათერაკების მაძიებელ ავსტრალიელს იმედი ჰქონდა, რომ დაამხობდა თავისივე რეკორდს: შარშან, კაიმანის კუნძულების რაიონში, გალიის გარეშე, ჰიდროკოსტიუმით გაცურა 109 კილომეტრი.

პელფრიმ სტარტი აიღო კუბის სანაპიროდან, ჰავანის სიახლოვეს. როგორც დასაწყისში ვთქვით, დამცავი გალიის გარეშე დაიწყო ცურვა, მაგრამ მთლად დაუცველიც არ ყოფილა - ზღვის მტაცებლების, განსაკუთრებით კი ზვიგენების დასაფრთხობად პელფრის გუნდი იყენებდა სპეციალურ ელექტრომაგნიტურ ველს.

აშშ-ის სანაპიროს კუბისგან ჰყოფს ყურე, რომელიც ცნობილია ცვალებადი დინებით. მათ შორის ერთ-ერთია გოლფსტრიმი. გარდა ამისა, ამ წყლებში უამრავი ზვიგენი და შხამიანი მედუზაა.

პირველი, ვინც შეძლო არცთუ უხიფათო მანძილის გადალახვა, იყო 22 წლის ავსტრალიელი სიუზი მარონი, რომელმაც 1997 წელს მარათონული გაცურვით აალაპარაკა მსოფლიო (მაშინ მარონიმ ზვიგენებისგან დამცავი გალია გამოიყენა).

წლეულს ფლორიდის ყურის დამცავი გალიის გარეშე გადაცურვის ორი წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა 62 წლის ამერიკელ დიანა ნაიადს. პირველად ასთმის შეტევამ ააღებინა ხელი განზრახვაზე, მეორედ კი სახისა და ხელის სერიოზული დამწვრობა მიიღო პორტუგალიურ ხომალდებთან - მედუზის მაგვარ შხამიან არსებებთან კონტაქტისთვის.